



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერინარიის სფეროში

თბილისი  
2018



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



კვლევის ავტორი:  
ვახტანგ კობალაძე

წინამდებარე კვლევა მოამზადა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით. კონსორციუმში ასევე შედის ოთხი ქართული ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC).

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ.

### „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“



Konrad  
Adenauer  
Stiftung



## შინაარსი

ანგარიშში გამოყენებული აბრევიატურები .....	5
ანგარიშის შესახებ .....	6
ანგარიშის მოკლე შინაარსი .....	6
Summary of the Report .....	9
<b>1. ვეტერინარიის სფეროში არსებული საერთაშორისო წესებისა და პრაქტიკის მიმოხილვა .....</b>	<b>11</b>
1.1. ხმელეთის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი .....	11
1.2. კოდექს ალიმენტარიუსი .....	12
1.3. კოდექსების პრაქტიკული გამოყენება .....	12
1.4. თანამედროვე ვეტერინარიის ძირითადი გლობალური გამოწვევები და მიდგომები .....	13
1.5. ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირში არსებული წესებისა და პრაქტიკის მიმოხილვა .....	17
1.5.1. ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგია .....	17
1.5.2. ცხოველთა ჯანმრთელობის კანონი .....	18
1.5.3. ცხოველთა კეთილდღეობა .....	21
1.5.4. სასურსათო ჯაჭვის, ცხოველისა და მცენარის ჯანმრთელობის მრჩეველთა კომიტეტი .....	21
1.6. ვეტერინარული კონტროლის თანამედროვე სისტემა .....	21
<b>2. ვეტერინარიაში შექმნილი მდგომარეობა საქართველოში .....</b>	<b>24</b>
2.1. ასოცირების შეთანხმების დადებამდე არსებული სიტუაცია .....	24
2.2. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ვეტერინარიის სფეროში .....	25
2.3. DCFTA გეგმები .....	26
2.4. საკანონმდებლო მიახლოების გეგმა -- ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები .....	27
2.5. ცხოველთა დაავადებების კონტროლი .....	29
2.6. ცხოველთა იდენტიფიკაცია, რეგისტრაცია და მიკვლევა .....	34
2.7. ცხოველთა დაავადებების რისკების შეფასება და კონტროლი .....	36
2.8. ვეტერინარულ კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები .....	37
2.9. ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტის ექსპორტი .....	40
2.10. მეწარმეების/ფერმერების/გლეხების გაუთვითცნობიერებლობა ვეტერინარიასთან დაკავშირებულ საკითხებში .....	41
2.11. კვალიფიციური კადრების დეფიციტი .....	43
2.12. ვეტერინარული განათლება .....	44

3. დასკვნები და რეკომენდაციები .....	46
3.1. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები .....	46
3.2. კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები .....	47
4. წყაროები .....	52
4.1. დოკუმენტები .....	52
4.2. გამოკითხულ პირთა სია .....	55
დანართი 1. ერთიანი ჯანდაცვის კონცეფციის გრაფიკული გამოსახულება .....	57
დანართი 2. ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	58
დანართი 3. ზოგიერთი ზოონოზური დაავადების გავრცელების სტატისტიკა საქართველოში .....	64

## ანგარიშში გამოყენებული აბრევიატურები

**დკსჯეც** – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**სეს** – სურსათის ეროვნული სააგენტო

**DCFTA** – Deep and Comprehensive Free Trade Area – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

**NAITS** – Technical Assistance to Support the Establishment of a National Animal Identification, Registration and Traceability System in Georgia -- საქართველოში ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის შექმნის მხარდაჭერის ტექნიკური დახმარება

**OIE** – ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

## ანგარიშის შესახებ

ანგარიშის მიზანია ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ვეტერინარიის სფეროზე ზეგავლენის შეფასება. ვინაიდან ასოცირების შეთანხმება 2014 წელს დაიდო, ძირითადი ყურადღება საქართველოში ვეტერინარიის სფეროში 2014-2018 წლებში მიმდინარე პროცესებზეა გამახვილებული. განხილულია საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები და პრობლემები. ანგარიშში ასევე მიმოხილულია ვეტერინარიის სფეროში არსებული საერთაშორისო წესები და პრაქტიკა.

ანგარიში განკუთვნილია დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

ანგარიშის ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენს საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- ნორმატიული აქტები.
- საჯარო სტრუქტურების ანგარიშები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები.
- საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების ანგარიშები.

გარდა ამისა, ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები საკითხში გათვითცნობიერებულ 26 პირთან შემდეგი ჯგუფებიდან: საჯარო სამსახურები, ბიზნესასოციაციები, კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დარგის სპეციალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ანგარიშის წინასწარი ვერსია დაიგზავნა შესაბამის საჯარო უწყებებში. მათგან მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, მოხდა ანგარიშის საბოლოო ვერსიის შემუშავება. ინფორმაციის შეკრება-დამუშავება მოხდა 2018 წლის თებერვალ-ივნისის პერიოდში.

ანგარიშში შევიდა ის ინფორმაცია, რომელზეც საკმარისი დოკუმენტური თუ ზეპირი მტკიცებულებების შეკრება მოხერხდა. ამავე დროს, ანგარიში ნაკლებად უღრმავდება იმ საკითხებს, რომლებიც მოცემულ თემასთან დაკავშირებულ სხვა ანგარიშებშია გაშლილი.

## ანგარიშის მოკლე შინაარსი

ბოლო 100 წლის მანძილზე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგად, სურსათითა და ცხოველებით ვაჭრობა და ადამიანთა გადაადგილება საერთაშორისო ბაზარზე არნახულად გაიზარდა, რამაც, თავის მხრივ, უპრეცედენტოდ გაზარდა ცხოველთა დაავადებების, მათ შორის ზოონოზური დაავადებებისა და დაბინძურებული სურსათის გავრცელების საფრთხეები. გაჩნდა შეთანხმების აუცილებლობა ისეთ წესებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში იქნებოდა მიღებული და უზრუნველყოფდა ცხოველთა დაავადებებისაგან დაცვასა და ცხოველური პროდუქტების უვნებლობას. ასეთი ძირითადი წესებია ხმელეთისა და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსები და კოდექს ალიმენტარიუსი. ეს დოკუმენტები ბევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლად იქნა გამოყენებული. კოდექსების სტანდარტები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ შეთანხმების სახელმძღვანელო დოკუმენტებს წარმოადგენს; ანუ ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა იმპორტირებული პროდუქციისადმი წაყენებული მოთხოვნები აღნიშნულ სტანდარტებს უნდა შეუსაბამონ. კოდექსები ეყრდნობა თანამედროვე ვეტერინარიის ძირითად მიდგომებს და მიმართულია შემდეგი მთავარი გამოწვევების საპასუხოდ:

- **„ერთიანი ჯანდაცვის“ კონცეფცია.** მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანისა და ცხოველის (როგორც შინაურის, ისე გარეულის) ჯანმრთელობა ურთიერთდამოკიდებულია და, თავის მხრივ, ეკოსისტემების სიჯანსაღეს

უკავშირდება. ცხოველების დაავადებების კონტროლი ცხოველების დონეზე, ადამიანების დაცვის ყველაზე ეფექტური და ეკონომიკურად გამართლებული გზაა. გლობალიზაციის პირობებში, ნებისმიერი ვეტერინარულად არაკეთილსაიმედო ქვეყანა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც და შესაძლოა, მსოფლიო მასშტაბის რისკებიც შექმნას. ამგვარად, ერთიანი ჯანდაცვის მიდგომიდან ამოიზარდა ახალი მიდგომა – „ერთი მსოფლიო, ერთიანი ჯანდაცვა“.

- **ბიოლოგიური უსაფრთხოების დაცვა.** ბიოტექნოლოგიების არნახულ განვითარებასთან ერთად, გაჩნდა რეალური რისკი, რომ დაავადებები ადამიანებსა და ცხოველებს შორის გავრცელდეს, როგორც ინფექციური აგენტების, ისე ტოქსინების მიზანმიმართული ან შემთხვევითი გავრცელების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ ამის რისკები დაბალია, ცალკეულ ასეთ შემთხვევასაც კი შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები, როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო დონეზე.
- **ცხოველთა კეთილდღეობა.** გულისხმობს ნორმალური სასიცოცხლო პირობების შექმნას ცხოველთათვის, დაკვლის შემთხვევაში კი, ტკივილისა და სტრესის მაქსიმალურ შემცირებას. მეცნიერულად დადგენილია, რომ ცხოველთა კეთილდღეობა პირდაპირ აისახება ზოონოზური დაავადებების შემცირებაზე, ცხოველური პროდუქტის უვნებლობასა და ხარისხზე. ამავე დროს, ეს ეთიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.
- **დაავადების ოფიციალური სტატუსი OIE-ს წევრი ქვეყნებისათვის.** ქვეყნებს შეუძლიათ რიგი მნიშვნელოვანი დაავადებებისაგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსი მიიღონ, რაც მათ ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობას უადვილებს.
- **ანტიმიკრობული რეზისტენტობა<sup>1</sup>.** ეს პრობლემა ადამიანებისა თუ ცხოველების ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს. ანტიბიოტიკები არა მხოლოდ ცხოველების მკურნალობისას გამოიყენება, არამედ მათ ცხოველების საკვებიც შეიძლება შეიცავდეს. ანტიბიოტიკები ცხოველის ორგანიზმში რჩება და შემდეგ ცხოველური წარმოშობის პროდუქტიდან ადამიანის ორგანიზმში გადადის.

ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირში მოქმედი წესები საერთაშორისო კოდექსების პრინციპებს შეესაბამება. ამ სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტებია „ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგია“ და „ცხოველთა ჯანმრთელობის კანონი“. აქცენტი კეთდება პრევენციასა და მეცნიერულ კვლევებზე. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია იმ დაავადებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის. რისკების შეფასება სისტემატურად მიმდინარეობს. ვეტერინარული კონტროლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაადგილების აღრიცხვა. ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში შეტანის უფლება ეძლევათ მხოლოდ ისეთ ქვეყნებსა და ტერიტორიებს, რომლებშიც დაცულია ცხოველთა ჯანმრთელობის სტანდარტები.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ, განუხრელად მიმდინარეობს ვეტერინარიის სფეროს რეფორმირება, მისი დაახლოება ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან, ასევე ფართოვდება უშუალოდ ვეტერინარული კონტროლი. ასოცირების შეთანხმებამ დადებითი როლი შეასრულა

1 მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი არ ექვემდებარება ანტიბიოტიკებით მკურნალობას.



ვეტერინარიის სფეროს რეფორმირების გრძელვადიანი ხედვისა და კონკრეტული გეგმის ჩამოყალიბებაში.

ამავე დროს, 2014 წელს, ასოცირების შეთანხმების დადების მომენტისათვის ვეტერინარიის სფეროში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, რომელიც წინა ათწლეულებში სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის შედეგი იყო, საქართველო მეტად არახელსაყრელ სასტარტო პოზიციაში ჩააყენა, შექმნა იმდენად სიღრმისეული პრობლემები, რომ მათ გადალახვას როგორც ხელისუფლების, ისე მეწარმეებისა და მთლიანად საზოგადოების ქმედითი გრძელვადიანი ძალისხმევა სჭირდება.

ვეტერინარული კონტროლისა და დაავადებების პრევენციის მიმართულებით გაწეული საქმიანობის ძირითადი ტვირთი დღესდღეობით სახელმწიფოსა აქვს საკუთარ თავზე აღებული. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ეს ტვირთი თავად საქონლის მეპატრონეებმა და კერძო ვეტერინარებმა უნდა გადაინაწილონ, ხოლო სახელმწიფომ მათი კონტროლის ფუნქცია უნდა შეასრულოს. საქართველოს რეალობაში ასეთ მიდგომებზე გადასვლა მეტად რთული იქნება. ერთი მხრივ, უნდა მოხდეს კერძო სექტორის შეძლებისდაგვარად მხარდაჭერა, წახალისება, რომ ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართონ. მეორე მხრივ კი, ხელისუფლებამ უნდა მიაჩვიოს მეწარმეები ვეტერინარიის კუთხით საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებასა და შესაბამისი ხარჯების გაწევას. ამ ოქროს შუალედის მოძებნა რთულია, მაგრამ სწორედ ამაზეა დამოკიდებული ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატება.

საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, მისი ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებისა და თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური რეგულირების სისტემის შექმნისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელება, მათი თანმიმდევრული განხორციელება და შეძლებისდაგვარად მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვა ამ რეფორმების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის.



## Summary of the Report

During the last 100 years, due to globalization process trade in food and animals, as well as human movement has been increased in an unprecedented scale. This has respectively raised risks of spreading animal diseases, including zoonotic diseases and contaminated food. A need emerged in globally recognized rules, which would ensure protection from animal diseases and food safety. Such major rules are terrestrial and aquatic animal health codes, as well as Codex Alimentarius. These documents formed a basis for national legislation in many countries. Standards of codes constitute a reference within the World Trade Organization Agreement on the Application of Sanitary and Phytosanitary Measures, meaning that organization member states have to comply their import requirements with those standards. The codes are based on main approaches and address major challenges, which are the following:

- **One Health concept.** It means that human and animal (both domestic animals and wild-life) health are interdependent and are bound to the health of ecosystems. Control of animal diseases is the most efficient and economically viable way of protecting humans. In the result of globalization, each country, which is unsafe from animal health perspective, creates risks not only to its residents, but also to neighboring countries and possibly to the whole world. Thus, One Health approach transformed into concept *One World, One Health*.
- **Biological Security.** Unprecedented development of biotechnologies created a risk that diseases among humans, or animals spread through intentional or accidental distribution of infectious agents or toxins. Despite of low risks, such accidents may cause catastrophic results both on national and global level.
- **Animal welfare** means creation of normal living conditions to them and minimization of suffering and stress during slaughter. It is scientifically justified that animal welfare directly relates to decrease of zoonotic diseases, safety and quality of food. Besides, it has an ethical dimension.
- **Official disease status for OIE member states.** Countries can receive a disease-free status concerning a number of important diseases, what facilitates their trade with animals and animal products.
- **Antimicrobial resistance** is one of the major health risks for humans and animals. Antibiotics are used not only to cure animals. Feed may also contain antibiotics. It remains in the body of the animal and then through the product of the animal origin is transmitted to the human body.

Rules applied in veterinary sector in EU comply with international codes. Main EU documents in the field are *Animal Health Strategy* and *Animal Health Law*. Emphasis is made on prevention and scientific research. Highly dangerous diseases for EU are targeted. Risk assessment is continuous. An important element of veterinary control is traceability of animals and animal products. Only those countries and territories are permitted to export animals and animal products to EU, where animal health standards are protected.

After conclusion of EU-Georgia Association Agreement, reform of Georgia's veterinary sector, its approximation with EU regulatory system and widening of actual veterinary control is underway. Conclusion of the Association Agreement has played a positive role in elaboration of a long-term vision and concrete action plan of the veterinary sector reform in Georgia.

At the same time, in 2014, when the Association Agreement was concluded, veterinary situation in Georgia was very difficult. This was due to neglect of this field by the government of Georgia

during the last decades. This created such substantial problems that their resolution requires serious, long-term efforts from the side of the government, business and whole society.

Main burden of veterinary control and disease prevention carried out in Georgia is on the state. However, according to international experience, for an efficient functioning of the system, this burden should be also distributed between animal holders and veterinarians, while the state should rather perform their controlling function. Taking into account the Georgian reality, such transformation seems quite difficult. On the one hand, private sector shall be supported, stimulated in order to carry out all required measures for veterinary security. On the other hand, the government shall make entrepreneurs used to take over more responsibility and make respective expenses for veterinary purposes. To find such a *golden middle* is difficult, but success of the ongoing reforms depends on that.

Georgia has a long path to go through until its veterinary field is put in order, the country is approximated with EU law and practice, as well as a regulatory system responding to actual challenges is established.

Thus, reforms in veterinary field have to continue, have to be consistently implemented and if possible, more state resources should be channeled to facilitate the reforms and enhance their efficiency.

# 1. ვეტერინარიის სფეროში არსებული საერთაშორისო წესებისა და პრაქტიკის მიმოხილვა

სურსათითა და ცხოველებით საერთაშორისო ვაჭრობა ათასწლეულებია მიმდინარეობს, მაგრამ, უმეტესწილად, ვაჭრობა ადგილობრივ დონეზე, ქვეყნებისა თუ მისი რეგიონების შიგნითვე წარმოებდა. ბოლო 100 წლის მანძილზე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგად, არნახულად გაიზარდა საერთაშორისო ბაზარზე სურსათითა და ცხოველებით ვაჭრობა და ადამიანთა გადაადგილება. ამან უპრეცედენტოდ გაზარდა ცხოველთა დაავადებების, მათ შორის ზოონოზური დაავადებების<sup>2</sup> და დაბინძურებული სურსათის გავრცელების საფრთხეები. მაგალითად, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ვარაუდით, დღესდღეობით არსებული ადამიანის ინფექციური დაავადებების 60% ზოონოზური ხასიათისაა. ყოველწლიურად ადამიანის 5 ახალი დაავადება ჩნდება, საიდანაც 3 ცხოველური წარმოშობისაა.

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გაჩნდა ისეთ წესებზე შეთანხმების აუცილებლობა, რომლებიც მთელ მსოფლიოში იქნებოდა მიღებული და უზრუნველყოფდა ცხოველთა დაავადებებისაგან დაცვასა და პროდუქტების უვნებლობას. ამსაჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა შეიმუშავეს დოკუმენტები, რომლებიც ქვემოთაა მიმოხილული და ვეტერინარიის სფეროს მარეგულირებელ ძირითად საერთაშორისო წესებს წარმოადგენს.<sup>3</sup>

## 1.1. ხმელეთის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი<sup>4</sup>

ხმელეთის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი განსაზღვრავს ცხოველების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ცხოველებითა და მათი პროდუქტებით უსაფრთხო საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტებს. კოდექსებით გათვალისწინებული ზომების მიზანია მოხდეს ცხოველებისა და ადამიანებისათვის საშიში დაავადებების ადრეული გამოვლენა, მათ შესახებ შესაბამისი უწყებებისა და ჯგუფების ინფორმირება და მათი კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი გავრცელება საერთაშორისო ვაჭრობის გზით და, ამავე დროს, არ შეიქმნას დაუსაბუთებელი სავაჭრო ბარიერები.

კოდექსები შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავს:

- ცხოველთა დაავადებები, რომელთა ზედამხედველობაც უნდა ხდებოდეს;
- ცხოველთა ის სახეობები, რომლებიც ამა თუ იმ დაავადების გამავრცელებლები არიან;
- ვეტერინარული მომსახურების ფუნქცია და როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში;
- ვეტერინარული მომსახურების ხარისხი;
- რისკის ანალიზი;
- დაავადებათა პრევენცია და კონტროლი;
- იმპორტ-ექსპორტის პროცედურები;
- ცხოველთა კეთილდღეობა.

2 ცხოველიდან ადამიანზე და, პირიქით, ადამიანიდან ცხოველზე გადაცემადი დაავადებები.

3 <http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/about-codex/en/>; <http://www.oie.int/en/for-the-media/one-health/>.

4 მასალა მომზადებულია ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ვებსაიტზე დაყრდნობით <http://www.oie.int/>.

ხმელეთის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი 1968 წელს, ხოლო წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსი 1995 წელს დამტკიცდა OIE-ს წევრი ქვეყნების მიერ. მას შემდეგ, მეცნიერების განვითარების პარალელურად, კოდექსების სისტემატურად იხვეწება. ხმელეთის ცხოველების კოდექსის ბოლო, 26-ე რედაქცია, ხოლო წყლის ცხოველების ბოლო, მე-20 რედაქცია 2017 წლის მაისში დამტკიცდა. კოდექსები წევრი ქვეყნების (181 ქვეყანა 2018 წლის მარტისათვის) ვეტერინარული უწყებების კონსენსუსის შედეგია. საქართველო 1994 წლიდანაა OIE-ს წევრი<sup>5</sup>.

## 1.2. კოდექს ალიმენტარიუსი<sup>6</sup>

კოდექს ალიმენტარიუსი საერთაშორისო დონეზე აღიარებული სურსათის სტანდარტების, სახელმძღვანელოებისა და პრაქტიკის კოდექსების კრებულია. კოდექსი მეცნიერულ მტკიცებულებებს ეყრდნობა, რომლებიც რისკის შეფასების დამოუკიდებელი ინსტიტუტების, ანგაეროს სურსათის მსოფლიო ორგანიზაციისა (FAO) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ ორგანიზებული კონსულტაციების შედეგადაა შემუშავებული. კოდექსი 1963 წელს შეიქმნა, თუმცა, მისი შემადგენელი ახალი დოკუმენტების შემუშავება, გადახედვა, თუ გაუქმება ხდება ახალი მეცნიერული ცოდნისა, თუ სხვა შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით. ამის პასუხისმგებლობა, შესაბამისი პროცედურის გავლით, კოდექს ალიმენტარიუსის კომისიასა და მის დაქვემდებარებულ ორგანოებს აქვთ. კომისია FAO-სა და WHO-ს მიერ შექმნილი უწყებებია. მისი წევრი შეიძლება გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი. 2018 წლის მარტისათვის კომისიას 189 წევრი ჰყავდა – სახელმწიფოები და ერთი ორგანიზაცია (ევროკავშირი). საქართველო კომისიის წევრია 1998 წლიდან. ვეტერინარიას კოდექსის არაერთი დოკუმენტი ეხება, კერძოდ, ცხოველის საკვებთან, ვეტერინარულ პრეპარატებთან, სურსათში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებთან დაკავშირებული დოკუმენტები.

## 1.3. კოდექსების პრაქტიკული გამოყენება

ზემოთ ჩამოთვლილი კოდექსები საერთაშორისო კონსენსუსის შედეგია და ბევრ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლად იქნა გამოყენებული. ამავე დროს, კოდექსების სტანდარტები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ შეთანხმების სახელმძღვანელო დოკუმენტებს წარმოადგენენ; ანუ ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა იმპორტირებული პროდუქციისადმი წაყენებული მოთხოვნები აღნიშნულ სტანდარტებს უნდა შეუსაბამონ. იმ პროდუქტებთან, თუ საკითხებთან მიმართებაში, რომლებსაც კოდექსები არ ფარავს, ან თუკი სახელმწიფოს სურს იმპორტის მიმართ უფრო მკაცრი მოთხოვნების დაწესება, ვიდრე კოდექსებითაა გათვალისწინებული, მას ამ ზომების მიზანშეწონილობის მეცნიერული დასაბუთება – რისკის ანალიზი უნდა გააჩნდეს.<sup>7</sup>

5 <http://nfa.gov.ge/ge/media-centri/axali-ambebi0/veterinaria/saqartvelo-cxovelta-djanmrteლობის-saertashoriso-kongress-pirvelad-maspindzlobs.page>.

6 მასალა მომზადებულია კოდექს ალიმენტარიუსის ვებსაიტზე დაყრდნობით: <http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/home/en/>.


7 <http://www.oie.int/en/standard-setting/terrestrial-code/>, <http://www.oie.int/international-standard-setting/aquatic-code/>, <http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/about-codex/en/>.

## 1.4. თანამედროვე ვეტერინარიის ძირითადი გლობალური გამოწვევები და მიდგომები

ვეტერინარიის სფეროში არსებული საერთაშორისო წესები რიგ ძირითად მიდგომებს ეყრდნობა, რომლებიც ამ ქვეთავშია მიმოხილული.

### „ერთიანი ჯანდაცვის“ კონცეფცია<sup>8</sup>

„ერთიანი ჯანდაცვის“ (One Health) კონცეფცია 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, თუმცა, იდეა, რომელიც კონცეფციას საფუძვლად უდევს, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იყო ცნობილი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანისა და ცხოველის (როგორც შინაურის, ისე გარეულის) ჯანმრთელობა ერთიერთად დამოკიდებულია და, თავის მხრივ, ეკოსისტემების სიჯანსაღეს უკავშირდება. ეს თითქოსდა მარტივი მიდგომა, თანამედროვე ვეტერინარიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს და მის დაძლევაზეა დამოკიდებული როგორც ცხოველების, ისე ადამიანების ჯანმრთელობა მთელ მსოფლიოში.



სურათი 1. OIE-ს პოსტერები ადამიანებისა და ცხოველების საერთო საფრთხეების შესახებ.

„დავიცვათ ცხოველები, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი მომავალი“ – OIE-ს ეს მოწოდება იმაში მდგომარეობს, რომ ცხოველთა დაავადებების კონტროლი ცხოველების დონეზე, ადამიანების დაცვის ყველაზე ეფექტური და ეკონომიკურად გამართლებული გზაა. ეს საჭიროება არსებობს როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და მსოფლიო მასშტაბით. გლობალიზაციის პირობებში, ნებისმიერი ვეტერინარულად არაკეთილსაიმედო ქვეყანა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც და შესაძლოა, მთელ მსოფლიოსაც რისკები შეუქმნას. ამიტომაც მნიშვნელოვანია ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემების არსებობა, ვეტერინარული სამსახურების გამართული მუშაობა და მათი თანამშრომლობა დაინტერესებული ჯგუფების ფართო წრეებთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო

<sup>8</sup> <http://www.oie.int/en/for-the-media/onehealth/>, <http://www.oie.int/en/for-the-media/editorials/detail/article/one-world-one-health/>





ამავე დროს, სისტემაში ჩართული ყველა ქვეყანა ვალდებულია 6 თვისა და წლიური ანგარიშები გააგზავნოს OIE-ში იმ განსაკუთრებით საშიში დაავადებების თაობაზე მდგომარეობის შესახებ, რომელთა მონიტორინგსაც ეს ორგანიზაცია ახდენს.

გარდა ამისა, წლიური ანგარიშები დამატებით მონაცემებსაც უნდა მოიცავდეს სხვა დაავადებების გავრცელების, ვეტერინარული სამსახურების, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების, მათ მიერ განხორციელებული სადიაგნოსტიკო კვლევებისა და ა. შ. შესახებ.

WAHIS-ზე განთავსებული ინფორმაცია ვებსაიტის მეშვეობით თავისუფლადაა ხელმისაწვდომი.

GLEWS არის FAO-ს, OIE-სა და WHO-ს ერთობლივი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება თითოეული ორგანიზაციის ხელთ არსებული ისეთი რესურსების გაერთიანება, როგორებიცაა მონაცემები, ცოდნა, ექსპერტიზა, კავშირები, ინფორმაციის გავრცელების საშუალებები თუ სხვა. სისტემას გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

1. ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობასა და სურსათს შორის სისტემატური კავშირის უზრუნველყოფა;

2. ღრმა და მრავალსექტორული რისკის შეფასების ორგანიზება;

3. დაინტერესებული ჯგუფების ფართო წრის (სახელმწიფო, პროფესიული, საზოგადოებრივი) მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სამი ორგანიზაციის კოორდინირებული მუშაობის შედეგად GLEWS ხელს უწყობს ცხოველთა ჯანმრთელობის დასაცავად უფრო აქტიურ საქმიანობაზე გადასვლას და არა მხოლოდ გამოვლენილ პრობლემებზე რეაგირებით შემოფარგვლას.

### **ბიოლოგიური უსაფრთხოების დაცვა<sup>13</sup>**

• ბიოტექნოლოგიების არნახულ განვითარებასთან ერთად, იმის რეალური რისკი გაჩნდა, რომ დაავადებები ადამიანებსა და ცხოველებს შორის გავრცელდეს როგორც ინფექციური აგენტების, ისე ტოქსინების მიზანმიმართული ან შემთხვევითი გავრცელების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ ამის რისკები დაბალია, ცალკეულ ასეთ შემთხვევასაც კი შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები, როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო დონეზე.

ცხოველური პათოგენები ბიოლოგიურ იარაღად შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ისინი ძლიერმოქმედი და იაფია, მათი მოპოვება და გადატანა (მათ შორის სასაზღვრო კონტროლისათვის დამალვა) ადვილია. ამავე დროს, ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების შედეგად, ცხოველური პათოგენების შემუშავების საშუალებები სულ უფრო იმატებს, ფასი კი მცირდება.

ამგვარად, კიდევ უფრო იზრდება ვეტერინარული ზედამხედველობის, დაავადებების ადრეული გამოვლენისა და სწრაფი აღმოფხვრის სისტემებისა და ამ მიმართულებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა. ამ გამოწვევების საპასუხოდ, OIE-ს შემუშავებული აქვს ბიოლოგიური უსაფრთხოების შემცირების სტრატეგია.

### **ცხოველთა კეთილდღეობა<sup>14</sup>**

ცხოველთა კეთილდღეობა გულისხმობს მათთვის ნორმალური სასიცოცხლო

13 მასალა მომზადებულია OIE-ს ვებსაიტზე დაყრდნობით: <http://www.oie.int/en/our-scientific-expertise/biological-threat-reduction/>.

14 მასალა მომზადებულია OIE-ს ვებსაიტზე დაყრდნობით: <http://www.oie.int/en/animal-welfare/animal-welfare-at-a-glance/>.



პირობების შექმნასა და დაკვლის შემთხვევაში, ტკივილისა და სტრესის მაქსიმალურ შემცირებას. მეცნიერულადაა დადგენილი, რომ ცხოველთა კეთილდღეობა პირდაპირ აისახება ზოონოზური დაავადებების შემცირებაზე, ცხოველური პროდუქტის უვნებლობასა და ხარისხზე. ამავე დროს, ეს ეთიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

ცხოველთა „ხუთი თავისუფლება“ ჯერ კიდევ 1965 წელს გამოქვეყნდა და OIE-ს წევრი ქვეყნების მიერ მთელ მსოფლიოშია აღიარებული. ამ კონცეფციის მიხედვით, ცხოველის კეთილდღეობა დაკავშირებულია შემდეგი საჭიროებების უზრუნველყოფასთან:

1. შიმშილის, არასაკმარისი კვებისა და წყურვილისაგან თავისუფლება;
2. შიშისა და სტრესისაგან თავისუფლება;
3. ფიზიკური და თერმული დისკომფორტისაგან თავისუფლება;
4. ტკივილის, დაზიანებისა და ავადმყოფობისაგან თავისუფლება;
5. ცხოველისათვის დამახასიათებელი, ნორმალური ქცევის თავისუფლება.

ამ თავისუფლებების საფუძველზე შემუშავებული სტანდარტები ეხება ცხოველთა ტრანსპორტირებას, დაკვლას დაავადებათა კონტროლისა და მოხმარების მიზნით, ცხოველთა მოშენების სისტემებს, ცხოველთა გამოყენებას მეცნიერებისა და განათლებისათვის, უპატრონო ძაღლების კონტროლს. სხვა საკითხებთან დაკავშირებული სტანდარტები შემუშავების პროცესშია.

### დაავადების ოფიციალური სტატუსი OIE-ს წევრი ქვეყნებისათვის

OIE მსოფლიო მასშტაბით 117 დაავადების მონიტორინგს ახდენს. ეს დაავადებები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვითაა შერჩეული:

1. დაავადების საერთაშორისო მასშტაბით გავრცელება დადასტურებულია.
2. ერთმა ქვეყანამ მაინც მოახერხა დაავადებისაგან გათავისუფლება, ან დადასტურებულია, რომ ახერხებს ამას.
3. დაავადების გამოვლენისა და დიაგნოსტიკის სანდო და ზუსტი საშუალებები არსებობს.
4. (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მაინც)
  - ა) დაავადების ბუნებრივი გზით ადამიანზე გადაცემა დადასტურებულია და ადამიანის ინფიცირებას მძიმე შედეგები მოაქვს.
  - ბ) დაავადებას მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს შინაური ცხოველების ჯანმრთელობისათვის, ქვეყნის ან ზონის მასშტაბით.
  - გ) დაავადებას მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს, ან მეცნიერული მონაცემებით დასტურდება შესაძლო მნიშვნელოვანი ზიანი გარეული ცხოველების ჯანმრთელობისათვის.<sup>15</sup>

ზემოაღნიშნულ დაავადებათაგან, ორგანიზაციის წევრების ინიციატივით, გამოყოფილია 6 მსოფლიო დონეზე ყველაზე პრიორიტეტულად მიჩნეული დაავადება, რომლებთან დაკავშირებითაც შესაძლებელია OIE-ს-გან დაავადებისაგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსის ოფიციალური აღიარება. ეს დაავადებებია:

1. თურქული.
2. მსხვილფეხა პირუტყვის გადამდები პლევროპნევმონია.
3. მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათია.
4. ცხენის აფრიკული დაავადება.
5. წვრილფეხა პირუტყვის ჭირი.
6. ღორის კლასიკური ცხელება.

სტატუსის მიღება საკვანძო როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობასა და

15 Terrestrial Animal Health Code, Chapter 1.2., Article 1.2.2.

დაავადებათა გლობალურ კონტროლში. 1998 წლიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია აღიარებს OIE-ს მიერ მინიჭებულ სტატუსებს, რითიც ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ ქვეყნიდან იმპორტის შეზღუდვის, ან კონტროლისას.

OIE ყოველწლიურად უწევს მონიტორინგს დაავადებისაგან თავისუფალი სტატუსის მქონე ქვეყნებს. დაავადების ე.წ. აფეთქების შემთხვევაში, ან თუკი ქვეყანა აღარ აკმაყოფილებს ხმელეთის ცხოველების კოდექსის მოთხოვნებს, მას შეუჩერდება ეს სტატუსი.

საქართველოს ჯერჯერობით არ მიუღია რომელიმე დაავადებისაგან თავისუფალი ქვეყნის ოფიციალური სტატუსი.<sup>16</sup>

### **ანტიმიკრობული რეზისტენტობა<sup>17</sup>**

ანტიმიკრობული პრეპარატები აუცილებელია ადამიანისა და ცხოველის ბაქტერიულ-ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის. თუმცა, მათმა გადაჭარბებულმა ან არასათანადო გამოყენებამ შეიძლება რეზისტენტული ბაქტერია წარმოშვას, რის შემდეგაც ორგანიზმი უკვე აღარ ექვემდებარება ანტიბიოტიკებით მკურნალობას. ეს პრობლემა ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოვლინდა და ადამიანებისა თუ ცხოველების ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს. ანტიბიოტიკები არა მხოლოდ ცხოველების მკურნალობისას გამოიყენება, არამედ მათი გამოყენება ცხოველების საკვებშიც ხდება. ისინი ცხოველის ორგანიზმში რჩება და შემდეგ ცხოველური წარმოშობის პროდუქტიდან ადამიანის ორგანიზმში გადადის.

ცხოველებში ანტიბიოტიკების გამოყენების შეზღუდვისათვის აუცილებელია ეროვნულ დონეებზე შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა და ვეტერინარული კონტროლის განხორციელება.

## **1.5. ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირში არსებული წესებისა და პრაქტიკის მიმოხილვა**

### **1.5.1. ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგია<sup>18</sup>**

ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობა და პრაქტიკა ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგიას ეფუძნება. 2007 წლიდან ახალი სტრატეგია ამოქმედდა, რომლის დევიზიცაა „პრევენცია მკურნალობაზე უკეთესია“. ამგვარად, სტრატეგიის ფოკუსია პრევენციული ღონისძიებები, დაავადებების ზედამხედველობა, კონტროლი და კვლევა. ამ გზით უნდა შემცირებულიყო ცხოველთა დაავადებების რაოდენობა და დაავადებათა აფეთქებების შედეგად მიღებული ზიანი. ევროკავშირის პოლიტიკა ცხოველთა ჯანმრთელობის სფეროში უნდა გამხდარიყო უფრო საიმედო, მაგრამ ამასთანავე მოქნილი, ეფექტიანი და შედეგიანი. სტრატეგიის გამჭოლი თემებია: პარტნიორობა და კომუნიკაცია. სტრატეგიის 4 ძირითადი პრინციპია:

1. პრიორიტეტების განსაზღვრა – ცხოველთა დაავადებების რისკების პროფილებისა და კატეგორიების შემუშავება, რის საფუძველზეც პრიორიტეტული ღონისძიებები

16 მასალა მომზადებულია OIE-ს ვებსაიტზე დაყრდნობით: <http://www.oie.int/en/animal-health-in-the-world/animal-diseases/>.

17 მასალა მომზადებულია OIE-ს ვებსაიტზე დაყრდნობით: <http://www.oie.int/en/for-the-media/amr/>.

18 მასალა მომზადებულია ევროკომისიის ვებსაიტზე დაყრდნობით: [https://ec.europa.eu/food/animals/health/strategy2007-2013\\_en](https://ec.europa.eu/food/animals/health/strategy2007-2013_en).

დაისახება. ძალისხმევა და რესურსები ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთ დაავადებებზე, რომლებიც საზოგადოების, განსაკუთრებით კი ევროკავშირისათვის ყველაზე რელევანტურია პროპორციულობისა და სუბსიდიარობის პრინციპების დაცვით.

2. ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის ჩარჩო – მთავარი მიზანი იყო ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის კანონის შემუშავება. ურთიერთ-დაკავშირებული ნორმატიული აქტების სერიების ნაცვლად, უნდა შემუშავებულიყო ერთიანი ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფდა. სხვა აქტივობები მიმართული იყო პასუხისმგებლობისა და ხარჯების უკეთ განაწილებისაკენ, დაავადებათა გამოსავლენად, აღმოსაფხვრელად, მეორადი ცხოველური პროდუქტების უკეთ განსაკარგავად, საერთაშორისო სტანდარტებთან უკეთ დასაახლოებლად და საერთაშორისო ვაჭრობის გასაიოლებლად.

3. პრევენცია, ზედამხედველობა და მზადყოფნა -- პრობლემების გამოვლენა მანამ, სანამ ისინი თავს იჩენენ; დაავადებების აფეთქებებისა და კრიზისებისათვის მზადყოფნა.

4. მეცნიერება, ინოვაცია და კვლევა -- მეცნიერებს, პოლიტიკის შემმუშავებლებსა და აღსმასრულებლებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.

ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგიის შესაბამისად, 2007 წლიდან დღემდე შემდეგი ძირითადი მიღწევები შეიძლება გამოიყოს:

- შეიქმნა და მუშაობს ცხოველთა ჯანმრთელობის მრჩეველთა კომიტეტი.
- მრავალი თემატური ღონისძიების მეშვეობით გააქტიურდა კომუნიკაცია და პარტნიორობა დაინტერესებულ ჯგუფებთან.
- დამტკიცდა ცხოველთა ჯანმრთელობის ახალი რეგულაცია.
- მეორადი ცხოველური პროდუქტების განკარგვის წესები და ამასთან დაკავშირებული ევროკავშირის ხარჯები გადაიხედა.
- დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი OIE-სთან.
- დაავადებათა მონიტორინგი და ზედამხედველობა გაიზარდა ევროკავშირის მასშტაბით.
- დაინერგა მსხვილფეხა პირუტყვის ელექტრონული იდენტიფიკაცია.
- ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა გაძლიერდა.
- ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების იმპორტის კონტროლი გაუმჯობესდა.

### 1.5.2. ცხოველთა ჯანმრთელობის კანონი<sup>19</sup>

ცხოველთა გადამდები დაავადებების შესახებ ევროკავშირში ამჟამად მოქმედი რეგულაცია (2016/429) „ცხოველთა ჯანმრთელობის კანონი“ 2016 წელს მიიღეს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის მეცხოველეობის სექტორს, გახადოს იგი უფრო კონკურენტუნარიანი, უზრუნველყოს ცხოველებითა და მათი პროდუქტებით უსაფრთხო ვაჭრობა, ეკონომიკისა და დასაქმებულთა რიცხვის ზრდა. რეგულაცია პასუხობს ვეტერინარიის წინაშე არსებულ გლობალურ გამოწვევებს, იგი შეესაბამება ხმელეთის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსისა და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის კოდექსის მიდგომებს.

კანონის პრიორიტეტებია დაავადებების პრევენცია და აღმოფხვრა. მისი ამოცანაა, რაც შეიძლება მარტივი და მკაფიო წესების შემოღება ფერმერების, ვეტერინარებისა და სხვა ჯგუფებისათვის, რომლებსაც ცხოველებთან აქვთ შეხება. ახალი წესები საშუალებას იძლევა ახალი ტექნოლოგიები მეტად იყოს გამოყენებული ცხოველთა ჯანმრთელობის

19 მასალა მომზადებულია ევროკომისიის ვებსაიტზე დაყრდნობით: [https://ec.europa.eu/food/animals/health/regulation\\_en](https://ec.europa.eu/food/animals/health/regulation_en).



დაცვის ღონისძიებებში, როგორებიცაა პათოგენების კვლევა, ცხოველთა ელექტრონული იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია.

რეგულაცია მოიცავს როგორც შინაურ, ისე გარეულ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, როგორც ხმელეთის, ისე წყლის ცხოველებს. უფრო კონკრეტულად, რეგულაცია მოიცავს მოთხოვნებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: დაავადებების პრევენცია და მათთვის მზადყოფნა; ინფორმირებულობა დაავადებების შესახებ; ანტიბიოტიკების კონტროლი; ბიოუსაფრთხოება; ცხოველთა და მათი პროდუქტების მიკვლევადობა; ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილება ევროკავშირის შიგნით და მათი იმპორტი; ზედამხედველობა; დაავადებათა კონტროლი და აღმოფხვრა; საგანგებო ზომები.

რეგულაცია მოიცავს იმ დაავადებებს, რომლებიც ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს აყალიბებს. თუკი ესა თუ ის დაავადება რეგულაციაში არ არის შესული, მაგრამ ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნისათვის, ან მისი რომელიმე რეგიონისათვის ქმნის საფრთხეს, შესაბამისი წევრი ქვეყნის ხელისუფლება, ან მეწარმეები თავად არიან პასუხისმგებელი ამ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები შეიმუშავონ და განახორციელონ. თუმცა, დაავადებასთან ბრძოლა საფრთხის პროპორციული უნდა იყოს და ევროკავშირის ერთიანი ბაზრის წესები არ უნდა დაარღვიოს.

ამავე დროს, რეგულაციაში შემავალი დაავადებების სია რევიზიას ექვემდებარება ეპიდემიოლოგიური სიტუაციის და მიხედვით, როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. რეგულაციაში დაავადების დამატება სწრაფად შეიძლება. მეორე მხრივ, თუკი დაავადება ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს არ ქმნის და მისი საწინააღმდეგო ზომები მხოლოდ უსარგებლო ტვირთს წარმოადგენს მეწარმეებისთვის, გადასახადის გადამხდელებისა და სახელმწიფო უწყებებისათვის, ის ამოღებულ უნდა იქნეს სიიდან.

რეგულაცია ეყრდნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ შეთანხმებასა და OIE-ს სტანდარტებს. ამავე დროს, საგანგებო შემთხვევებში, როცა ცხოველისა თუ ადამიანის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით საბოლოო მეცნიერული დასკვნები არ არსებობს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ უფლება დროებითი ზომები მიიღონ. ამ ღონისძიებების მიზანშეწონილობა სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული, მონაცემებზე დაყრდნობით და გონივრულ ვადაში მოხდეს მათი გადახედვა.

რეგულაციით გატარებული ზომები რისკის შეფასებას უნდა ეყრდნობოდეს და სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ევროპის სურსათის უვნებლობის უწყების (EFSA) დასკვნები, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით რისკის შეფასებაზეა პასუხისმგებელი.<sup>20</sup>

რეგულაცია განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების ვალდებულებებს საზოგადოების ინფორმირების თაობაზე მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ცხოველები ან მათი პროდუქტები, ცხოველის ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს ქმნის, ან როცა საკითხი საზოგადოების ინტერესს იწვევს.<sup>21</sup>

რეგულაცია ითვალისწინებს ქვეყნისა თუ მისი ცალკეული ნაწილების ამა თუ იმ დაავადებისაგან თავისუფალ ზონებადაღიარებას, რაც დაავადებებზე ზედამხედველობისა და ცხოველური პროდუქტების გატანის პროცედურების გამარტივებას გულისხმობს.

რეგულაციის მიხედვით, ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების

20 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), par. (12)-(16).

21 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), par. (52).

ევროკავშირში შეტანის უფლება ეძლევათ მხოლოდ ისეთ ქვეყნებსა და ტერიტორიებს, რომლებშიც დაცულია ცხოველთა ჯანმრთელობის სტანდარტები. ამას ევროკავშირის მხრიდან განხორციელებული შემოწმება ადგენს, რომლის დროსაც შემდეგი საკითხების შეფასება ხდება:

- ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა ევროკავშირში მოქმედ მოთხოვნებთან.
- ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ცხოველების ან ცხოველური პროდუქტების შეტანის წესები.
- კანონმდებლობის აღსრულების ეფექტიანობა.
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური მოწყობა, რესურსები და უფლებამოსილებები.
- ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკაციის პროცედურები.
- ქვეყნის ან ტერიტორიის ცხოველთა ჯანმრთელობის ოფიციალური სტატუსი.
- გავრცელებული დაავადებები და დაავადებების გავრცელების რისკები.
- ქვეყანაში ან ტერიტორიაზე გავრცელებული დაავადებების თაობაზე OIE-სათვის ინფორმაციის მიწოდების რეგულარულობა და სისწრაფე.
- ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან ევროკავშირში ადრე შესული ცხოველებისა ან ცხოველური პროდუქტების ოფიციალური კონტროლის შედეგები.

ამავე დროს, ევროკავშირში შესულ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს უნდა ახლდეს წარმოშობის ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ჯანმრთელობის სერტიფიკატი.<sup>22</sup>

თუკი ევროკავშირის წევრი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის ცნობილი გახდება მესამე ქვეყნის ცხოველის ან მისგან წარმოებული პროდუქტის შესახებ, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე ინფექციების შეტანის რისკს ქმნის, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ევროკომისიასა და სხვა წევრ ქვეყნებს.<sup>23</sup>

ცხოველის ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის სერიოზული რისკის გამოვლენის შემთხვევაში, ევროკომისიას შეუძლია შეაჩეროს ევროკავშირის ტერიტორიაზე გარკვეული ცხოველების, ცხოველური პროდუქტების ან მათთან შეხებაში მყოფი ტრანსპორტის ან სხვა საშუალებების შესვლა; ან სპეციალური მოთხოვნები დააწესოს, ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველების, პროდუქტების თუ სხვა საშუალებების შეტანასთან დაკავშირებით<sup>24</sup>.

ვეტერინარული კონტროლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ცხოველთა და მათი ხელოვნური განაყოფიერებისათვის ან ბუნებრივი გამრავლებისათვის საჭირო პროდუქტების (სპერმა, კვერცხუჯრედი, ემბრიონი, გამოსაჩეკი კვერცხი) გადაადგილების აღრიცხვა. რეგულაცია ამ საკითხსაც აწესრიგებს და აწესებს მოთხოვნებს ცხოველებისა და ზემოაღნიშნული პროდუქტების წევრ ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით გადაადგილების აღრიცხვის ვალდებულებას. ამისათვის რეგულაციის საფუძველზე მოქმედებს ინტეგრირებული კომპიუტერული სისტემა TRACES.<sup>25</sup> სისტემაში ასევე შედის მონაცემები სურსათის, ცხოველის საკვების, მცენარეებისა და ცხოველთა გამოვლენილი დაავადებების შესახებ. სისტემის მეშვეობით დიგიტალიზებულია სერტიფიკაციისა და

22 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), Part V.

23 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), art. 260.

24 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), art. 261.

25 Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), par. (129).

მასთან დაკავშირებული პროცედურები, რაც ვაჭრობასაც აადვილებს. რაც მთავარია, სისტემა უზრუნველყოფს ცხოველებისა და სხვა პროდუქტების გადაადგილების მიკვლევადობას, რითაც ამცირებს დაავადებათა გავრცელების რისკებს და უზრუნველყოფს წარმოქმნილ საფრთხეებზე სწრაფ რეაგირებას.

სისტემა ხელს უწყობს შესაბამისი საჯარო უწყებების თანამშრომლობას, ასევე ვაჭრობაში ჩაბმული კომპანიების ინტერაქციასა და მათ თანამშრომლობას საჯარო უწყებებთან.<sup>26</sup>

### 1.5.3. ცხოველთა კეთილდღეობა

ევროკავშირის დირექტივა 98/58 აყალიბებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს<sup>27</sup>. გარდა ამისა, არსებობს სხვა, ცალკეული ცხოველებისადმი მიმართული დირექტივები. კეთილდღეობის მოთხოვნები ეხება ცხოველთა ტრანსპორტირებასა და დაკვლასაც.

### 1.5.4. სასურსათო ჯაჭვის, ცხოველისა და მცენარის ჯანმრთელობის მრჩეველთა კომიტეტი

სასურსათო ჯაჭვის, ცხოველისა და მცენარის ჯანმრთელობის მრჩეველთა კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) 2004 წელს შეიქმნა, რათა უზრუნველყო ევროკავშირის სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის განახლებისა და შეფასების დროს დაინტერესებულ ჯგუფებთან ღია კონსულტაციები. ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებზე ცალკე ქვეჯგუფი მუშაობს. კომიტეტმა გააერთიანა ამავე მიზნებით ადრე შექმნილი სხვადასხვა პლატფორმები და, ასევე, გააუმჯობესა მათი სამუშაოს ორგანიზება.

კომიტეტი ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი 45 ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან შედგება, როგორებიცაა მეწარმეების, სპეციალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. წევრები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ.

სრულყოფილებიანი წევრების გარდა, კომიტეტში 14 ორგანიზაცია დამკვირვებლის სტატუსითაა წარმოდგენილი.

კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, როგორცაა დღის წესრიგი, ანგარიში და სხვა სამუშაო დოკუმენტი საჯაროდაა ხელმისაწვდომი ევროკომისიის ვებსაიტის მეშვეობით.<sup>28</sup>

## 1.6. ვეტერინარული კონტროლის თანამედროვე სისტემა

საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, თანამედროვე გამოწვევების პირობებში, ქვეყანაში ეფექტიანი ვეტერინარული კონტროლის სისტემის ზოგადი ჩარჩო შემდეგნაირად შეიძლება აღიწეროს.

აუცილებელია, რომ ფერმერებმა, ვეტერინარებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა თავისი წილი პასუხისმგებლობა სათანადოდ შეასრულონ.

ცხოველთა ჯანმრთელობაზე მთავარი პასუხისმგებლობა თავად ცხოველების მეპატრონეების ხელშია. მათზე უკეთესად არავის შეუძლია მათი კუთვნილი ცხოველების მოვლა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, იმის უზრუნველყოფა, რომ ეს

26 [https://ec.europa.eu/food/animals/traces\\_en](https://ec.europa.eu/food/animals/traces_en).

27 Directive (EU) 98/58 concerning the protection of animals kept for farming purposes.

28 [https://ec.europa.eu/food/expert-groups/ag-ap/adv-grp\\_fchaph\\_en](https://ec.europa.eu/food/expert-groups/ag-ap/adv-grp_fchaph_en).



ცხოველები დაავადებების გამავრცელებლად არ იქცნენ და მათგან წარმოებული პროდუქტები უვნებელი იყოს. ამისათვის ფერმერებს კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული ჯანმრთელობისა და მატერიალური რისკები, რასაც ვეტერინარული მოთხოვნების უგულებელყოფა იწვევს.

შემდეგ საფეხურს წარმოადგენენ ვეტერინარები, რომელთა დახმარების გარეშე ფერმერებს არ შეუძლიათ ცხოველთა ჯანმრთელობაზე სათანადო ზრუნვა. შინაური ცხოველების მოვლა, მკურნალობა, მათთვის საკვების შერჩევა, დაკვლა კვალიფიციური ვეტერინარის ზედამხედველობით უნდა ხორციელდებოდეს. თუმცა, ამისათვის თავად ფერმერებს უნდა ჰქონდეთ სისტემატური თანამშრომლობა ვეტერინარებთან და მათი შრომის ანაზღაურებისთვისაც მზად უნდა იყვნენ.

სახელმწიფოს მთავარი როლი კი არის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, რათა ფერმერებსა და ვეტერინარებს ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება გაუადვილდეთ და, ამავე დროს, უზრუნველყოფილი იყოს სურსათის მომხმარებელთა ინტერესების საკმარისი დაცვა. ეს ასევე გულისხმობს ფერმერთა და ვეტერინართა საქმიანობისა და ვეტერინარული განათლების რეგულირებას, საჭიროების შემთხვევაში კი სტიმულირებას, ცხოველთა დაავადებების ზედამხედველობასა და პრევენციას.

ამასთანავე, ფერმერთა კონტროლში, დაავადებათა ზედამხედველობასა და პრევენციაში მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო ვეტერინართა შორის როლების გონივრული გადანაწილება. სახელმწიფომ თავისი ზემოაღნიშნული ფუნქციების დელეგირება დიდწილად სწორედ კერძო ვეტერინარებზე უნდა მოახდინოს. თუმცა, ამავე დროს, ამ ფუნქციების შესრულების ზედამხედველობა უნდა განახორციელოს.

გარდა ამისა, ეფექტიანი ვეტერინარული კონტროლისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა არსებობდეს. პირველ ყოვლისა, უნდა მოქმედებდეს ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და მიკვლევადობის სისტემა. იმისათვის, რომ რაღაც გავაკონტროლოთ, რაც შეიძლება ზუსტი ინფორმაცია უნდა გვქონდეს კონტროლის ობიექტის შესახებ. ამ შემთხვევაში ეს გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა შინაური ცხოველის (იდეალურ შემთხვევაში კი ასევე გარეული ცხოველების) აღრიცხვას, მათი კომპიუტერული ბაზის შექმნასა და ცხოველების ან მათი ჯგუფების (ჯოჯი, ფარა, გუნდი, ფუტკრების სკა, სადგომი) შესახებ მონაცემების სისტემატურ განახლებას, რაც მოიცავს მათთვის ჩატარებულ აცრებს, მკურნალობას, ადგილმდებარეობის შეცვლასა და სიკვდილს. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებებისათვის თვალის მიდევნება, დაავადებების მიკვლევადობა, მათი ეფექტიანი პრევენცია და აღმოფხვრა ისევე, როგორც ცხოველური პროდუქტის უვნებლობის კონტროლი და მისი მიკვლევადობა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა რისკის შეფასება. ყველა ცხოველის, ფერმისა თუ დაავადების 24-საათიანი კონტროლი შეუძლებელია. ამიტომ ყველა ქვეყანა, რომელსაც ვეტერინარული კონტროლის განხორციელება სურს, აფასებს უშუალოდ მის წინაშე არსებულ საფრთხეებს და ამაზე აფუძნებს სახელმწიფო კონტროლს, ანაწილებს საბიუჯეტო რესურსებს, ზოგადად, წარმართავს სახელმწიფო პოლიტიკას. რისკის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით და კონკრეტულ, შესაბამისი ქვეყნისა თუ ტერიტორიის შესაბამის პერიოდში მოპოვებულ მონაცემებს უნდა ეფუძნებოდეს. გარდა ამისა, დასკვნების სანდოობისათვის, რისკის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს მაკონტროლებელი უწყებებისაგან დამოუკიდებლად.

დასასრულ, ვეტერინარული კონტროლის მიზანია ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია მხოლოდ მზა პროდუქტის მონიტორინგით. სურსათის



უვნებლობაზე ზრუნვა არის პროცესი, რომელიც უნდა გაგრძელდეს „მინდვრიდან სუფრამდე“. ასე რომ, ცხოველთა ჯანრმთელობის დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნის გარეშე, შეუძლებელია ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მიღწევა.

ეს არის იმიდეალური სისტემის ზოგადი, მოკლემონახაზი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ეფექტიან ვეტერინარულ კონტროლს და რომლისკენაც საქართველოც მიისწრაფვის.

## 2. ვეტერინარიაში შექმნილი მდგომარეობა საქართველოში

### 2.1. ასოცირების შეთანხმების დადებამდე არსებული სიტუაცია

ვეტერინარიამ, ისევე როგორც ბევრმა სხვა დარგმა, საქართველოში, უკანასკნელი დაახლოებით 30 წლის მანძილზე მძიმე პერიოდი განვლო. 90-იანი წლების კატაკლიზმებმა, სახელმწიფო ინსტიტუტების უკიდურესმა დასუსტებამ, აყვავებულმა კორუფციამ ხელი შეუშალა ვეტერინარიის დარგის მოდერნიზაციას, მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ამას დაემატა 2000-იანი წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ულტრალიბერალური პოლიტიკა. კორუფციასთან ბრძოლისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მოტივით სახელმწიფო მაკონტროლებელი უწყებების დიდი ნაწილი ან საერთოდ გაუქმდა, ან მათ უკიდურესად შეუზღუდათ კონტროლის უფლებამოსილება და რესურსები. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მინიმუმამდე შეიკვეცა. ფაქტობრივად მთლიანად მოიშალა ვეტერინარული კონტროლის ძველი სისტემა, თუმცა ახალი ქმედითი მექანიზმები არ შექმნილა. დასაქმების ბაზარზე მკვეთრად შემცირდა ვეტერინარებზე მოთხოვნა და შესაბამისად ვეტერინარის სპეციალობის დაუფლების მსურველთა რაოდენობა. ამას დაემატა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები (17.06.2011), რითაც „სავეტერინარო მედიცინა“ ამოღებულ იქნა რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან. ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირს საქმიანობის განხორციელებისათვის აღარ მოეთხოვებოდა სერტიფიკატი და არ ჰქონდა რეცეპტის გამოწერის უფლება. ხუთწლიანი სწავლება (300 კრედიტი) ოთხწლიანი (240 კრედიტი) გახდა და არაადეკვატურად შემცირდა სპეციალური საგნების რაოდენობა და მოცულობა. ვეტერინარიის დარგის სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ ხდებოდა. საქართველოში მიღებული უმაღლესი ვეტერინარული განათლება არ იყო თავისებური საერთაშორისო, მათ შორის, ევროკავშირის პრაქტიკასთან და იქ არსებულ მოთხოვნებთან<sup>29</sup>.

ყოველივე ამან კიდევ უფრო დააკნინა სპეციალობის პრესტიჟი და სახელმწიფოს ყურადღება ამ სპეციალობის განვითარების მიმართ.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა (და ახლაც ამძიმებს) არასაიმედო ეპიზოოტური ვითარებამეზობელ ქვეყნებში და ზოგადად რეგიონში, ასევე საქართველოში მეცხოველეობისათვის დამახასიათებელი ორი თავისებურება:

- პირუტყვის სეზონური მიგრაციები -- პირუტყვის მასობრივი გადაადგილებები ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე, რაც დაავადებების გავრცელების კარგ ნიადაგს ქმნის;
- სასაზღვრო ზონებში, მეზობელ ქვეყნებთან საზიარო სამოვრების არსებობა<sup>30</sup>.

სუსტი ვეტერინარული კონტროლის შედეგად ზიანი მიადგაროგორც მომხმარებლებს, ისე მეწარმეებსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მოიმატა ცხოველთა ისეთმა დაავადებებმა, როგორებიცაა ბრუცელოზი, ჯილეხი, ცოფი თუ სხვა. ცხოველთა დაავადებების ადამიანებში გავრცელების მაჩვენებლებმაც იმატა, რასაც არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანება, არამედ სიკვდილიანობაც მოჰყვებოდა.<sup>31</sup> ერთ-ერთი

29 განმარტებითი ბარათი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 19.06.2017.

30 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 23.

31 დაავადებებთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. ქვეთავი „ცხოველთა დაავადებების კონტროლი“.

ყველაზე მძიმე შემთხვევა იყო 2007-2008 წლებში ღორების მასიური განადგურება ღორის აფრიკული ჭირის გავრცელების შედეგად.

დაავადებების გავრცელებამ და გავრცელების რისკებმა დააზიანა და საფრთხე შეუქმნა მეცხოველეობასა და ცხოველური პროდუქტების გადამამუშავებას და შეაფერხა ცხოველური პროდუქციის ექსპორტი. საქართველოში წარმოებული პირველადი ცხოველური პროდუქტის არაკეთილსაიმედოობის გამო, მის გადამამუშავებლებს მნიშვნელოვანი რესურსები დასჭირდათ მეტნაკლებად სანდო ნედლეულის შესარჩევად, ან მისგან უვნებელი პროდუქტის მისაღებად. ეს პრობლემები დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადების პერსპექტივა გამოჩნდა. ეს კი იმას გულისხმობდა, რომ საქართველო უნდა დაახლოებოდა ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკას, მათ შორის, ვეტერინარიის სფეროში. ამ მიზნით, 2010 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა“ (იგულისხმება ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება). „თავდაპირველად პროგრამა და სამოქმედო გეგმა 2010-2014 წლებისათვის გაიწერა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე 2013 წლის ბოლოსათვის აღინიშნებოდა გეგმასთან მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა მისი რევიზია და პროგრამის შესრულების ვადის 2020 წლამდე გაგრძელება.“<sup>32</sup>

მთლიანობაში, 2013 წლამდე ხელისუფლების მიდგომა ვეტერინარიის სფეროს მიმართ ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპელი პარტნიორებისათვის პროგრესი ეჩვენებინა და ასოცირების შეთანხმების დადებაზე დაეყოლიებინა. დაწყებული რეფორმები ძალზე დაბალი ტემპით მიმდინარეობდა და უფრო ფასადურ ცვლილებებს გულისხმობდა, ვიდრე არსებული პრობლემების სიღრმისეული გადაწყვეტის მცდელობებს.

ხელისუფლების მიდგომა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2013 წლიდან. გაცილებით გაიზარდა კონტროლის მასშტაბები, სურსათის ეროვნული სააგენტოს<sup>33</sup>, ხელთ არსებული რესურსები საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაორმაგდა დაავადება თუქრულზე აცრილი ცხოველების ოდენობა, გაოთხმაგდა ჯილეხზე და ცოფზე აცრილი ცხოველების რაოდენობა და სხვა. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების დადება.

## **2.2. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ვეტერინარიის სფეროში**

ასოცირების შეთანხმება და მისი ნაწილი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის“ (DCFTA) შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ვაჭრობის გამარტივებას ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით. ამისათვის საჭიროა, რომ მხარეებმა უზრუნველყონ ერთმანეთის დაცვა ცხოველთა დაავადებებისა და დაბინძურებული ცხოველური პროდუქტის შეღწევისაგან. ეს კი, თავის მხრივ, იმას

32 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, თბილისი, 2015 წ., გვ. 9.

33 სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) ვეტერინარულ კონტროლზე პასუხისმგებელი მთავარი საჯარო უწყებაა. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ვეტერინარულ კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

გულისხმობს, რომ შეთანხმების მხარეების ტერიტორიებზე ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანი სისტემები უნდა მოქმედებდეს, ხოლო ამ კუთხით სერიოზული რისკების წარმოქმნის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ შეზღუდონ ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობა, სპეციალური პროცედურების დაცვით.

ვინაიდან საქართველოში არსებული ვეტერინარული რეგულირების სისტემა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროკავშირში მოქმედ სისტემას, შეთანხმება ითვალისწინებს ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან დაახლოებას, ამავე დროს, სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარული ზომების გატარებისას<sup>34</sup>.

შეთანხმების მიხედვით, ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ზომების შეფასებისას, ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობისას, ვეტერინარიის კუთხით, კონკრეტულად შემდეგ საკითხებზე მახვილდება ყურადღება:

- ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მათი გადაადგილების აღრიცხვა.
- ცხოველთა დაავადებების კონტროლის ღონისძიებები.
- ცხოველებით, ცხოველთა სპერმით, კვერცხუჯრედითა და ემბრიონით ვაჭრობა.
- ცხოველთა კეთილდღეობა ფერმებში, ტრანსპორტირებისა და დაკვლისას.
- ცხოველთა საკვებთან დაკავშირებული მოთხოვნები.
- ცხოველთა საკვების განთავსება ბაზარზე.
- ნარჩენების მართვა.
- ცხოველური სუბ-პროდუქტები<sup>35, 36</sup>

ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა მრავალწლიანი საკანონმდებლო მიახლოების გეგმა ვეტერინარიის სფეროში, ასევე DCFTA-ს 2014-2017 წლებისა და ყოველწლიური გეგმები, რომლებიც ვეტერინარიასაც მოიცავს.

### 2.3. DCFTA გეგმები

2014-2017 წლების გეგმით<sup>37</sup> ვეტერინარიის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები იყო:

- მეორადი კანონმდებლობის პროექტების მომზადება/განხილვა და მიღება, საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის შესაბამისად.
- ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, საკანონმდებლო დაახლოების ახალი სიის შემუშავება.
- ტრეინინგების ჩატარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მათ შორის, სეს-ის) თანამშრომლებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში.
- ეფექტური ვეტერინარული შემოწმებების უზრუნველყოფისათვის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ინფრასტრუქტურითა და სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.
- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა სიჯანსაღის ადრეული შეტყობინების სისტემის შეფასება.

34 ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმება, მ. 50.

35 ცხოველის სხეული, ან მისი ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, ან ცხოველისაგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის საკვებად.

36 ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმება, დანართი XI-A, ნაწილი I, 1.

37 საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ.



- საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება შესაბამის უწყებებთან, ბიზნესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მოთხოვნებთან დაკავშირებით, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებასთან, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სამომხმარებლო ასპექტებთან დაკავშირებით.
- მიღებული კანონმდებლობის განხორციელების მიზნით, არსებული ლაბორატორიების გაუმჯობესება.

2014-2017 წლების გეგმის გარდა, მუშავდებოდა ყოველწლიური გეგმები და შემდეგ მათი შესრულების ანგარიშები მზადდებოდა. თუმცა, ვეტერინარიის სფეროში ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობები იმდენად ზოგადი ხასიათისა იყო და იმდენად ზოგადი ინდიკატორები ჰქონდა, რომ ფაქტობრივად, შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად შესრულდა ეს გეგმები. მხოლოდ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობა ხორციელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები წლებია გეგმების დაკონკრეტების საკითხს აყენებენ, გეგმები არ გაუმჯობესებულა (სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ვეტერინარიის სექტორს არ ეხება).

## 2.4. საკანონმდებლო მიახლოების გეგმა – ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები

საკანონმდებლო მიახლოების გეგმა ვეტერინარიის სფეროში 2015-2027 წლებზეა გაწერილი და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის 84 ნორმატიულ აქტთან. გეგმა პირველ ეტაპზე ითვალისწინებს საკანონმდებლო ბაზის შემუშავება-გაუმჯობესებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისა და ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. ასევე იწყება სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც ძირითადად ეხება ისევ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელსა და ღორებს, ასევე შინაურ ფრინველს. ვადების დადგენისას გათვალისწინებულია არა მხოლოდ საქართველოში ამ დაავადებების გავრცელების რისკები, არამედ საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტულად მიჩნეული დაავადებები, რათა ქართული პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობები გაიზარდოს. შემდეგ ეტაპზე რეგულაციები ეხება წყლის ცხოველებთან დაკავშირებულ ვეტერინარულ მოთხოვნებს, ასევე, ზოგადად, ვეტერინარულ პრეპარატებს. 2019 წლიდან უნდა დაიწყოს ცხოველთა საკვებთან, ხოლო 2022 წლიდან ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მიღება. 2024 წლიდანაა გათვალისწინებული ცხენისებრთა ცხოველებთან დაკავშირებული რეგულაციების მიღება. 2026-2027 წლებისთვის კი გეგმა მოიცავს ცხოველთა მოშენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2017 წლის ბოლოსათვის ევროკავშირის 26 ნორმატიულ აქტთან დაახლოება იყო გათვალისწინებული, რაც გეგმის მიხედვით განხორციელდა.<sup>38</sup>

გეგმის თავისებურებაა ის, რომ გაწერილია კანონმდებლობის მიღების გრაფიკი, მაგრამ არაფერია ნათქვამი მიღებული კანონმდებლობის ამოქმედების ვადებზე. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ გეგმა ფორმალურად შესრულდეს, ანუ ნორმატიული აქტები დათქმულ ვადებში დამტკიცდეს, მაგრამ მათი ამოქმედების ვადებმა წლების შემდეგ

38 ლაშა ინაურის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი) წერილი, ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების წლიური გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ, 15.03.2018. დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში.

გადაიწიოს, რაც ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან რეალურ დაახლოებას არ წარმოადგენს.

მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე ნორმატიულ აქტს. 2017 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო წყლის ცხოველების ვეტერინარულ კონტროლთან<sup>39</sup> დაკავშირებული დადგენილება, რომელიც 2023 წელს შედის ძალაში. ასევე, 2017 წელს მიიღეს დადგენილება ღორით ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომლის რიგი მოთხოვნებისა მხოლოდ 2023 და 2025 წლებში შედის ძალაში<sup>40</sup>. 2016 წელს მიიღეს „ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესი“<sup>41</sup>, რომლის რიგი მოთხოვნებისა 2020 წლიდან, ხოლო რიგი – 2027 წლიდან შედის ძალაში.

როგორც ვხედავთ, გადავადებები ძალიან ხანგრძლივია. ამას ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიან ფინანსების, ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი განათლების დეფიციტით. მართლაც, ახალი მოთხოვნების აღსრულებისათვის შესაბამისი მომზადება სჭირდებათ როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ისე მეწარმეებსა და მთლიანად საზოგადოებას. ყველა დაინტერესებულ ჯგუფს გააზრებული უნდა ჰქონდეს ცვლილებების არსი, მნიშვნელობა და მზად იყოს შეცვლილ გარემოებებში მოქმედებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო რეფორმა მხოლოდ ქალაქდზე დარჩება.

ამავე დროს, რეფორმის წარმატებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მიღებული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა, რაც, სამწუხაროდ, ასევე პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, მთავრობის დადგენილებებით, სეს-ს 2018 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეხდინა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო შემდეგ ეს თავად საქონლის მფლობელების პასუხისმგებლობა უნდა გამხდარიყო. თუმცა, მოგვიანებით დადგენილებებში ცვლილებები შეიტანეს და ამ ვადამ 2021 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.<sup>42</sup> 2016 წელს მიღებული დადგენილებებით უნდა დაწყებულიყო რამდენიმე ახალი დაავადებების კონტროლი<sup>43</sup>, მაგრამ საქართველოში ლაბორატორიებს არა აქვთ ამ დაავადებების კვლევის მეთოდები დანერგილი, სასაკლაოების ვეტერინარებიც მზად არ არიან მათთან შესული პირუტყვი ამ დაავადებებზე შეამოწმონ.

მიღებული კანონმდებლობის აღსრულების შეფერხება ცუდი სიგნალია მეწარმეებისათვის. ეს ართულებს მეწარმეებისათვის ახალი მოთხოვნების ამოქმედების რეალური ვადების პროგნოზირებას და ამცირებს მათ მოტივაციას დროულად მოემზადონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი მოთხოვნებისათვის. მეორე მხრივ, ხელისუფლება მხედველობაში იღებს მეწარმეთა მზაობას ახალი რეგულაციების

39 საქართველოს მთავრობის დადგენილება №594 „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“.

40 საქართველოს მთავრობის დადგენილება №584 „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“.

41 საქართველოს მთავრობის დადგენილება №600 „ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

42 საქართველოს მთავრობის დადგენილება №764 „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის დადგენილება №228 „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

43 გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიები, თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიციემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზი (IHN).

ამოქმედებისათვის და ამგვარად, ვიღებთ „მოჯადოებულ წრეს“.

დღემდე არსებული პრაქტიკა და გამოცდილება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საკანონმდებლო მიახლოების გეგმით გათვალისწინებული კანონმდებლობის ამოქმედება 2027 წელს გადასცდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ამოქმედებული კანონმდებლობის აღსრულების ხარისხზე. ასე რომ, ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან საქართველოს დაახლოება, ანუ ვეტერინარული კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ შორეული პერსპექტივაა და კონკრეტული ვადების გათვლა რთულია.

გარდა ზემოთქმულისა, საქართველოს კანონმდებლობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია.

ჯერჯერობით საერთოდ არ რეგულირდება ცხოველთა საკვები, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ცხოველის ჯანმრთელობისა და ცხოველური პროდუქტის უვნებლობის დასაცავად. ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების გეგმით, მხოლოდ 2019 წლიდანაა გათვალისწინებული ცხოველთა საკვებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მიღება, რაც 2024 წლამდე უნდა გაგრძელდეს.

არ რეგულირდება ცხოველთა კეთილდღეობის საკითხები, რაც ასევე უკავშირდება ცხოველის ჯანმრთელობასა და ცხოველური პროდუქტის უვნებლობას. ამ კუთხით მოთხოვნების ამოქმედება 2020 წლიდანაა გათვალისწინებული<sup>44</sup>, ხოლო მომდევნო წლებში იგეგმება ევროკავშირის რიგ ნორმატიულ აქტებთან დაახლოება.

საქართველოს კანონმდებლობის კიდევ ერთი სერიოზული ხარვეზი ის არის, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა 2020 წლამდე არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, ანუ გლეხურ მეურნეობებზე<sup>45</sup>. იმ პირობებში, როცა საქართველოში სოფლის მეურნეობა ძირითადად გლეხური მეურნეობებისაგან შედგება და მათი დიდი ნაწილი ცხოველურ, მათ შორის გადამუშავებულ პროდუქტს (ძირითადად ყველს) რეგულარულად აწვდის ბაზარს, მისი დიდი ნაწილი კონტროლის მიღმა დარჩენილი.

## 2..5. ცხოველთა დაავადებების კონტროლი

ცხოველთა და მათ შორის ზოონოზურ დაავადებებზე ზედამხედველობა მთავრობის დადგენილებითაა განსაზღვრული<sup>46</sup>. მასზე პასუხისმგებელი არიან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯც); მუნიციპალიტეტებთან არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები/სამსახურები; სეს; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია; შემოსავლების სამსახური; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აგრეთვე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები; ვეტერინარული მომსახურების მიმწოდებლები; სხვა დაწესებულებები, რომელთაც შეეხება აქვთ და/ან მუშაობენ პათოგენებთან. ყველა ამ ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ პირს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ვალდებულებები გააჩნია.

44 საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, მ. 76, 4.

45 საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, მ. 18<sup>2</sup>, ე).

46 საქართველოს მთავრობის დადგენილება №336 „ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდემიადამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“, მ. 3.



ზედამხედველობისას გამოიყენება დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის), რომელიც წარმოადგენს დაავადებათა შესახებ ერთიან ინფორმაციულ ბაზასა და ეპიდზედამხედველობის ეროვნულ სისტემაში შემავალ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტს. იგი გამოიყენება დაავადებათა შემთხვევების დროული შეტყობინება/ანგარიშგების, მონიტორინგისა და ანალიზისთვის. დზეის-ში ჩართული არიან დეკჯეც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, სეს, შემოსავლების სამსახური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები. სისტემა ძირითადად ზოონოზურ და განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებით გამოიყენება.

ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უმთავრესი სახელმწიფო ორგანო სეს-ია. ეს უწყება ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ. დაავადებების შერჩევა პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის რისკის შეფასების საფუძველზე ხორციელდება, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: დაავადების გავრცელების ხასიათი, ვაქცინაციის წარმატების ხარისხი, ეპიდაფეთქება, მასიური გავრცელების საშიშროება, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის მოთხოვნები (ექსპორტის შეზღუდვა), ქვეყანაში მოცემული მომენტისათვის ვაქცინის ბაზარზე არსებობა და სხვა კრიტერიუმები<sup>47</sup>.

2012-2014 წლებიდან სეს-მა პრევენციული ზომების გატარება დაიწყო რამდენიმე ყველაზე გავრცელებული და საშიში ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგოდ, რამაც ამ დაავადებების შემთხვევები მნიშვნელოვნად შეამცირა. მაგალითად, არაკეთილსაიმედო ტერიტორიებზე და საქონლის გადასარეკი ტრასების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველების ჯილეხზე ვაქცინაცია დაიწყო. ამ ღონისძიებების შედეგად, 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 62,5%-ით შემცირდა ჯილეხის შემთხვევები ცხოველებში და 76,2%-ით ადამიანებში.

ასევე ხორციელდება ძაღლებისა და კატების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ქვეყნის მასშტაბით (თბილისის გარდა) სეს წლიურად საშუალოდ ცრის 250 000 ძაღლსა და კატას, რომელთაც პატრონები ჰყავთ. თბილისში ამას შინაური ბინადარი ცხოველების პატრონები თავად უზრუნველყოფენ. უპატრონო ძაღლებისა და კატების პოპულაციის მართვას კი მუნიციპალიტეტები ახორციელებენ. ამ ღონისძიების შედეგად, 2017 წელს 2013 წელთან შედარებით ცოფის გამოვლინება ცხოველებში შემცირდა 65,5%-ით, მათ შორის უშუალოდ ძაღლებსა და კატებში ცოფის შემთხვევებმა იკლო 73%-ით. ხოლო 2014 წლის შემდგომ ცოფის შემთხვევები ადამიანებში არ დაფიქსირებულა.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ, იმ სოფლებში, სადაც დაფიქსირდა ადამიანის დაავადების ფაქტები, ხორციელდება მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების შესაბამისი პრეპარატებით დამუშავება. ამის შედეგად 2017 წელს 2014 წელთან შედარებით 79,2%-ით შემცირდა ყირიმ-კონგოს ცხელების შემთხვევები ადამიანებში.<sup>48</sup>

მიმდინარეობდა სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციაც, როგორებიცაა თურქული, ცხვრისა და თხის ყვავილი, წრილფეხა პირუტყვის ჭირი და სხვა. სეს ასევე ატარებს სხვადასხვა დაავადებებზე ცხოველების კვლევებს, როგორებიცაა თურქული, ბრუცელოზი და სხვა.<sup>49</sup>

გარდა ამისა, დიდი მეფრინველეობის ფერმები რეგულარულად ცრიან არა მარტო

47 ლაშა ავალიანი (სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი), 26.04.2018-ის წერილი.

48 ლაშა ავალიანის (სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი), 13.04.2018-ის წერილი. ამ საკითხთან დაკავშირებით გრაფიკული გამოსახულებები იხილეთ დანართ 3-ში.

49 დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხებზე იხ. სეს-ის წლიურ ანგარიშებში.

თავიანთ ფრინველებს, არამედ მათ მიმდებარე სოფლებში ბინადარ ფრინველებსაც, რათა ფრინველთა დაავადებების ფერმებში შემოჭრა აიცილონ თავიდან.

სეს-ის მიერ დაწყებულ მასობრივ ვაქცინაციებს გლეხების მხრიდან წინააღმდეგობები ახლავდა თან. ვრცელდებოდა ხმები, რომ ვაქცინები ცხოველთა წველადობას ამცირებს თუ სხვა გართულებებს იწვევს ცხოველებში. ამის გამო ხდებოდა ცხოველების დამალვა. თუმცა, თანდათანობით გაიზარდა სახელმწიფო პროგრამების მიმართ ნდობა და ვაქცინაციისათვის თავის არიდების მასშტაბებიც შემცირდა. 2017 წელს ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 93% კმაყოფილი იყო შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრების სერვისით<sup>50</sup>.

საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობს, რომ განხორციელებული ღონისძიებებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე 2020 წლისთვის, OIE ქვეყანას მიაწიქებს თურქულის დაავადებისაგან თავისუფალი ზონის სტატუსს, რაც მოხსნის ბარიერებს ევროკავშირის ქვეყნებში ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით.<sup>51</sup>

მთლიანობაში საქართველოში გავრცელებული ძირითადი ზოონოზური დაავადებებით ადამიანების დასნებოვნების მხრივ ბოლო 10 წლის მანძილზე საერთო სურათი ასეთია<sup>52</sup>:

დაავადება	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ბრუცელოზი	168	173	199	166	134	177	246	204	214	213
ექინოკოკოზი	58	58	80	64	94	121	152	77	108	88
ვისცერული ლეიშმანიოზი	171(3)	169(1)	141(1)	119(3)	101(2)	117(1)	42	11	54	39(1)
ლეპტოსპიროზი	18	16 (2)	72 (8)	80 (5)	43	36 (3)	77 (4)	27	105 (14)	70 (7)
ცოფი	7 (7)	6(6)	5 (5)	3 (3)	3 (3)	4 (4)	4 (4)	0	0	0
ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება	0	1	0	0	1	13	24 (4)	9 (1)	6 (2)	5 (2)
ჯილეხი	62	38	28	81 (1)	142 (1)	143 (1)	57	57	27	34 (2)

50 საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა, ეისითი, 2017 წ., გვ. 67.

51 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, 2015 წ., გვ. 32.

52 დკსჯეც 23.03.2018-ისა და 05.04.2018-ის წერილები. ფრჩხილებში მითითებულია სიკვდილის შემთხვევები.

რაც შეეხება ცხოველთა დაავადებების სტატისტიკას, ბოლო 10 წლის მანძილზე, აღრიცხული ძირითადი შემთხვევები შემდეგ დაავადებებზე მოდის<sup>53</sup>:

		წლები									
		2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
დაავადებები	ბრუცელოზი	1103	2163	0	278	265	276	2506	1013	2662	2341
	ცოფი	103	153	97	69	135	116	119	103	53	40
	ჯილეხი	15	12	8	31	36	41	19	29	17	15

როგორც ვხედავთ, დაავადებებთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ბოლო წლების მანძილზე ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ზოონოზური დაავადებებით ადამიანების დაავადებისა და სიკვდილის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოტანილია ლაბორატორიულად დადასტურებული და ოფიციალურად რეგისტრირებული მონაცემები. სავარაუდოდ, გაცილებით მეტია ისეთი შემთხვევები, რომლებიც გამოვლენილი არ არის, განსაკუთრებით კი ცხოველებში.

ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება ბრუცელოზის გავრცელება ცხოველებში. სპეციალისტების აზრით, ამ დაავადებისაგან გასათავისუფლებლად დაავადებული ცხოველისმასიური დაკვლასაჭირო. თუმცა, სახელმწიფო არარის მზად ასეთ რადიკალურ ზომებზე წავიდეს, ვინაიდან ეს სოციალურად რთული იქნება. ეკონომიკური ზარალის კომპენსაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გადახდა კი მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

გარდა უკვე გავრცელებული დაავადებებისა, არის ახალი დაავადებების შემოჭრის რისკები. ერთ-ერთი ასეთი დაავადებაა ბლუთანგი. ეს დაავადება ჩვენს მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში გვხვდება. დაავადების სპეციფიკა ის არის, რომ დაავადების შემოსვლამდე ვერ ამზადებენ მის საწინააღმდეგო ვაქცინას. ვაქცინა იმ შტამისაგან უნდა დამზადდეს, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე შემოსული დაავადებისათვის არის დამახასიათებელი. ანუ წინასწარი ვაქცინაცია შეუძლებელია. თან საქართველოში ასეთი ვაქცინა ვერ მზადდება. მისი უცხოეთიდან შემოტანაა საჭირო, რაც დამატებით დროს მოითხოვს. ამიტომ დღესდღეობით, ამ დაავადების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, გამკაცრებული სასაზღვრო კონტროლი. ამ დაავადებასთან დაკავშირებით 2018 წლის აპრილში ნორმატიული აქტივ მომზადდა.

გაზრდილია ღორისა და ფრინველის დაავადებების გავრცელების რისკები, ვინაიდან ძალიან მოიმატა ღორებისა და შინაური ფრინველის რაოდენობამ.

კვლევის არაერთმა რესპონდენტმა (გარდა საჯარო სექტორის წარმომადგენლებისა) აღნიშნა, რომ პერიოდულად საზოგადოებაში ვრცელდება ინფორმაცია ამა თუ იმ ცხოველის დაავადების გავრცელების შესახებ, რომლებსაც ვეტერინარები თუ ოფიციალური სტრუქტურები მაღავენ სხვადასხვა პირადი ინტერესების ან იმის გამო, რომ საქართველოს, როგორც OIE-ს წევრს ვალდებულია აქვს, ამ დაავადებების თავის ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში OIE-ში შეტყობინება გააგზავნოს. ეს კი შემდეგ ექსპორტ-იმპორტზე შეზღუდვების დაწესებას გამოიწვევს. მოცემული კვლევის ფარგლებში შეუძლებელი იყო ასეთი ფაქტების აღმოჩენა, თუმცა, ეს იმდენად

53 სეს-ის 04.04.2018-ის წერილი.

გავრცელებული ექვებია, რომ ძირს უთხრის ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის სანდოობას და შესაბამისად მთლიანად რეფორმის პროცესს. შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, გამოარკვიონ სიმართლე, კანონის შესაბამისად იმოქმედონ და საზოგადოებას სისტემატურად მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია.

პრობლემად რჩება კოორდინაცია დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და სეს-ს შორის დაავადებათა კერების აღმოსაჩენად.<sup>54</sup> ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა, მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა. მაგალითად, სეს-ის ინფორმაციით 2016-2017 წლებში ჯილეხის 10 ჯგუფური შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან, დაავადების კერა აღმოაჩინეს მხოლოდ 4 შემთხვევაში. იმავე წლებში დაფიქსირდა ბრუცელოზით დაავადების 22 ჯგუფური შემთხვევა. დაავადების კერა აღმოაჩინეს 10 შემთხვევაში.<sup>55</sup>

ლაბორატორიული შესაძლებლობები დაავადებების დროულად დასადგენად ასევე გამოწვევაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ახალ-ახალ კვლევებს ნერგავს, მაგრამ ჯერ კიდევ რთულია საქართველოში ყველა საჭირო კვლევის გაკეთება. ამ კონტექსტში კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიებს შორის კოორდინაცია, რაც, ფაქტობრივად არ არსებობს. ზოგადი განცხადებების გარდა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ წარმოუდგენია რაიმე მიდგომა სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების პროცესში კერძო ლაბორატორიების შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს პროცესი სპონტანურად მიმდინარეობს.<sup>56</sup>

ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები ვერ ფარავს და ვერც დაფარავს ყველა დაავადებას, რომლის საფრთხის წინაშეც ცხოველები არიან. ერთ-ერთი ასეთი საფრთხეა სხვადასხვა სახის პარაზიტები, რომელთა ცხოველზე ზემოქმედების დროს, სხვა დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეფექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იკარგება.

დაავადებებთან ეფექტიანი ბრძოლისათვის აუცილებელია თავად ცხოველთა მეპატრონეებმა გამოიჩინონ მეტი ყურადღება და ყველა საჭირო ზომას მიმართონ ცხოველების ჯანმრთელობის დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი ზომა ცხოველის შესაბამისი კვებაცაა. ეს უზრუნველყოფს ცხოველის ძლიერ იმუნიტეტს და შესაბამისად, დაავადებების საწინააღმდეგო მედეგობას. თუმცა, საქართველოში პირუტყვის საკვები ბაზა ზამთარში მწირია. არის ზამთრის სამოვრების დეფიციტიც და მათი მოვლა-პატრონობის პრობლემაც დგას.

ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხოველთა მეპატრონეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სისტემის არარსებობა. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ცხოველთა მეპატრონეების მხრიდან სახელმწიფო მაკონტროლებელ უწყებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობა, ფერმერმა/გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თუკი დაავადებების გავრცელების აღსაკვეთად მისი პირუტყვის დაკვლა ანდა მისი პროდუქტის განადგურება გახდა საჭირო, ის კომპენსაციას მიიღებს. მსოფლიო პრაქტიკით ეს შეიძლება დაზღვევისა და სახელმწიფო კომპენსაციის მეშვეობით გაკეთდეს (თუნდაც იმ შემთხვევებში, როცა ეს შედეგი სახელმწიფოს ბრალეულობით დადგა). წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოველის მეპატრონე

54 ამ საკითხზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, თბილისი, 2016, გვ. 27.

55 სეს-ის 23/04/2018-ის წერილი N 09/3017.

56 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ.: სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, თბილისი, 2016, გვ. 34.



ყოველთვის დგას იმ დილემის წინაშე, გაამჟღავნოს მისი ცხოველის ავადმყოფობა თუ ამის დამალვა და, უარეს შემთხვევაში, ავადმყოფი ცხოველისაგან მიღებული პროდუქტის რეალიზაციაც სცადოს.

აგროდაზღვევის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის 2015-2020 წწ. ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2014 წლიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს. თუმცა, ეს პროგრამა მხოლოდ რიგი სტიქიური მოვლენებით მიყენებულ ზიანს ფარავს და ცხოველთა დაავადებებზე არ ვრცელდება.

რაც შეეხება სახელმწიფო კომპენსაციის საკითხს, ჯერჯერობით ამ მიმართულებით მუშაობა კონცეფციის დონეზე მიმდინარეობს. კონკრეტული მიდგომები სახელმწიფოს მხრიდან გამოკვეთილი არ არის. თუმცა, სეს-ის დღესდღეობით არსებული გათვლებით, სახელმწიფო კომპენსაციის დანერგვა ბიუჯეტს 5-ჯერ უფრო მეტი დაუჯდება, ვიდრე ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე პროგრამები.<sup>57</sup> სანამ ეს საკითხი მოგვარებულა, ავადმყოფი პირუტყვის დამალვის ფაქტებიც ხშირია.

ასე რომ, სახელმწიფოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის გასაფართოებლად და მისი ეფექტიანობის გასაზრდელად.

## 2.6. ცხოველთა იდენტიფიკაცია, რეგისტრაცია და მიკვლევადობა

საქართველოში დღემდე არ არსებობს ცხოველების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მონაცემთა ბაზა და სისტემა, რომელიც იდენტიფიკაცია-მიკვლევადობის შეუფერხებელ მიმდინარეობას უზრუნველყოფს. მონაცემთა შეგროვება ნაბეჭდი კითხვარების/საბუთების შევსებას ითვალისწინებს. შეგროვებული მონაცემების ელექტრონულ სისტემაში შეტანა მუნიციპალურ დარეგიონულ დონეებზე ამ მიზნით დანიშნული პერსონალის მიერ ხდება. ასეთი მიდგომა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, ვინაიდან შევსებული ფურცლების თავმოყრა ჯერ სოფლებში, შემდეგ კი თემებში და მუნიციპალიტეტებში უნდა მოხდეს, საბოლოო დამუშავება კი – რეგიონულ ოფისებში. ინფორმაციის მოპოვებასა და ბაზაში შეყვანას შორის ზოგჯერ ერთწლიანი ინტერვალი ფიქსირდება. აღნიშნულის გამო ბაზის განახლება დაგვიანებით ხდება, რაც მის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აქვეითებს.<sup>58</sup>

სისტემის ეფექტიანი მუშაობისათვის საჭიროა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის არსებობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით მისდამი წვდომის უზრუნველყოფა, მონაცემთა შეტანაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა (ესენი შეიძლება იყვნენ როგორც საჯარო მოსამსახურეები, ისე კერძო პირები და ვეტერინარები), მათი შესაბამისი მომზადება და სისტემის პრაქტიკული მუშაობის დანერგვა, რაც მთავარია, ყველა შინაური ცხოველის სისტემატური ვეტერინარული ზედამხედველობა. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა. ვარაუდობენ, რომ ამ კუთხით ევროკავშირში მოქმედ მოთხოვნებთან სრულ თავსებადობას დაახლოებით 10 წელი დასჭირდება.<sup>59</sup>

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოში 2012 წელს დაიწყო მსხვილფეხა პირუტყვით. თუმცა, 2016 წელს უცხოელი დონორების დახმარებით სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის პროექტმა აიღო საკუთარ თავზე სისტემის აწყობა. 2018 წლის აპრილში შემუშავდა ცხოველთა იდენტიფიკაციისა და

57 ლაშა ავალიანი, სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი, კავკასიის ალიანსების პროგრამის მრჩეველთა კომიტეტის მე-10 შეხვედრა, თბილისი, 19.04.2018.

58 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 31.

59 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 5.

მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, რომელმაც ჩამოაყალიბა სისტემის დანერგვის წინაშე არსებული დაბრკოლებები და მომავალი სისტემის ძირითადი მიდგომები. სტრატეგიის მიღების შემდეგ, პროცესი შემდეგ ეტაპზე უნდა გადავიდეს.

სტრატეგიის პროექტით გათვალისწინებულია მსხვილფეხა პირუტყვის ინდივიდუალური იდენტიფიკაცია, ხოლო ცხვრისა და თხის იდენტიფიცირების შერეული სისტემის (ფარა/ინდივიდუალური ცხოველი) დანერგვა, ასევე, ცხოველთა სადგომების (მ.შ. ფერმები, სამოვრები და სხვა) იდენტიფიკაცია<sup>60</sup>.

სამომავლოდ, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესში, ისევე, როგორც ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვაში ძირითადი პასუხისმგებლობა თავად ცხოველების მფლობელებმა და მათ მიერ დაქირავებულმა კერძო ვეტერინარებმა უნდა იკისრონ. სახელმწიფოს ძირითადი როლი კი მათი კონტროლი და დაავადებების ზოგადი ზედამხედველობა უნდა იყოს.

დღეისათვის იდენტიფიცირებულია მსხვილფეხა პირუტყვის, ძაღლებისა და კატების დიდი უმრავლესობა. თუმცა, ამ უკანასკნელის ერთიანი ბაზა არ არსებობს. ყველა მუნიციპალიტეტს ცალკე ბაზა აქვს. დაწყებულია წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია. სხვა პირუტყვისა და ფუტკრების სკების იდენტიფიკაცია ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

პირუტყვის იდენტიფიკაციას თავდაპირველად საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა გლეხების მხრიდან. იყო უნდობლობა სეს-ის მიმართ, არსებობდა ეჭვები, რომ იდენტიფიკაციის შემდეგ, პირუტყვზე გადასახადებს დააწესებდნენ. პირები, რომლებსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი ჰქონდათ და ამავე დროს პირუტყვის ფლობდნენ, შიშობდნენ, რომ იდენტიფიკაციის შემდეგ, შემწეობას მოუხსნიდნენ. ამის გამო, საკმაოდ ხშირი იყო სეს-ის ვეტერინარებისათვის პირუტყვის დამალვა და საყურე ნიშნების მოჭრა, რაც პროცესს აფერხებდა. თუმცა, პროცესზე დამკვირვებელი სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა ინფორმაციით, მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდა. პირუტყვის დამალვა ახლაც ხდება, თუმცა, მასშტაბები შედარებით მცირეა. მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია ამ საკითხზე ინფორმირებულობის დონის ამაღლებამ და იდენტიფიკაციის პროცესის მიზმამ ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამებზე.

მიღწეული შედეგები იმით უნდა განმტკიცდეს, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა და არაიდენტიფიცირებული პირუტყვი 2018 წლიდან უკვე აღარ დაიშვება სასაკლაოებზე. ამასთანავე, კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ დაფინანსების მისაღებად კოოპერატივის მფლობელობაში შესული მსხვილფეხა საქონელი იდენტიფიცირებული უნდა იყოს<sup>61</sup>. ასევე, 2017 წლის 1 მაისიდან უკვე იდენტიფიცირებული უნდა იყოს საექსპორტო კარანტინისათვის განკუთვნილი პირუტყვი<sup>62</sup>, რაც ადრე, საჭიროების შემთხვევაში, კარანტინის დროს ხდებოდა.

ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციას რაც შეეხება, თავდაპირველად თითოეული პირუტყვის ინდივიდუალური მონაცემების აღრიცხვა იყო გათვალისწინებული. თუმცა, პრაქტიკამაჩვენა, რომ ეს საკმაოდ რთულად შესასრულებელი ამოცანა იყო. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ), მიდგომის შეცვლა

60 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 35.

61 <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/187>

62 საქართველოს მთავრობის დადგენილება №59 „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“, მ.3, პ. 1. ე).

და ჯგუფური იდენტიფიკაციის დროებით დაშვების საკითხი განიხილება<sup>63</sup>.

ცხოველთა გადაადგილების აღრიცხვის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. ის ცხოველები, რომელთა ზამთრის საძოვრებზე გადასვლა დაგეგმილია, გადაინაწილდებიან საფრთხეების პუნქტებს. 2016-2017 წლებში 5 ასეთი პუნქტი მოეწყო აღმოსავლეთ საქართველოში გადასარეკ ტრასებზე ორგანიზაცია მერსი კორპსისა და სეს-ის თანამშრომლობის შედეგად. კიდევ ერთი პუნქტის მოწყობაა დაგეგმილი, რის შემდეგაც, ეს ტრასები პრაქტიკულად მთლიანად დაიფარება. ამ პუნქტებზე ხდება ცხოველების დეზინფექცია და, ამავე დროს, რეგისტრაცია.<sup>64</sup>

თუმცა, ცხოველებით ვაჭრობას რაც შეეხება, ამგზობით ცხოველების ადგილმდებარეობის შეცვლის აღრიცხვა ჯერჯერობით ვერ ხდება. დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ფერმერმა/გლეხმა, როცა ცხოველის გაყიდვას გეგმავს, ვეტერინარს უნდა მიმართოს. ვეტერინარმა უნდა შეაფასოს ცხოველის კეთილსაიმედოობა და გასცეს ცნობა. მაგრამ რეალურად ფერმერები/გლეხები არ მიმართავენ ვეტერინარებს და მათი იძულების მექანიზმიც არ არსებობს, რომ აღარაფერი ვთქვათ ვეტერინართა ხელმისაწვდომობაზე. საკმაოდ ხშირია სწორედ დასუსტებული, ცუდად მეწველი პირუტყვის გაყიდვა მისი თავიდან მოშორების მიზნით. ეს კი დაავადებების გავრცელებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

ცხოველთა ბაზრობები ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის და მსგავსი ტიპის სადგომებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. არაფორმალური ხასიათის გამო, ამ ბაზრობებში ვეტერინარული სერვისის ხელმისაწვდომი არ არის და ცხოველთა გადაადგილების კონტროლი არ ხორციელდება.<sup>65</sup>

## 2.7. ცხოველთა დაავადებების რისკების შეფასება და კონტროლი

2014 წლამდე საქართველოში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელი თავად ამ სფეროების მაკონტროლებელი უწყება – სეს იყო. 2014 წელს ეს ფუნქცია დაეკისრა ისევ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყებაც იმავე სამინისტროს დაქვემდებარებაშია, რაც სეს, ეს მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

2015-2016 წლებში ცხოველთა დაავადებებთან და ცხოველური წარმოშობის სურსათთან დაკავშირებით, სამსახურმა 4 რისკის შეფასება განახორციელა და ისინი საკუთარ საიტზე გამოაქვეყნა.<sup>66</sup> 2017 წელს დაწყებული რისკის შეფასებები მოცემული ანგარიშის მომზადების პერიოდში დასრულებული არ იყო.

თუმცა, ცენტრის მიერ ამ მიმართულებით საქმიანობის დაწყებისთანავე თავი იჩინა სისტემურმა პრობლემებმა, რომელთა გადაწყვეტაც ცენტრის ძალებით შეუძლებელია, კეძოდ, საქართველოს მასშტაბით რისკის შეფასებების განხორციელებისათვის საჭირო მონაცემების, მეცნიერული კვლევების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სიმწირე, საკუთარი კვლევების წარმოებისათვის რესურსების შეზღუდულობა. სამწუხაროდ, ეს არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ სფეროებში ქვეყნის წინაშე არსებული რისკები

63 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 35, 50.

64 ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია იხ. ქვეთავში „ვეტერინარულ კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები“.

65 ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, გვ. 29.

66 [http://srca.gov.ge/about/risk\\_assessment](http://srca.gov.ge/about/risk_assessment)



სათანადოდ შეფასდეს.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი დონორების დაფინანსებით, ვეტერინარიის განვითარების მიმართულებით მიმდინარე პროექტები გარკვეულ დახმარებას უწყვეტ ცენტრის რისკის შეფასების სამსახურს, თუმცა, პრობლემების მასშტაბურობიდან გამომდინარე, ეს საკმარისი არ არის.

ამ კუთხით, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაც ნელი ტემპით მიდის. მაგალითად, 2017 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესი“<sup>67</sup>, რომელიც სწორედ საჭირო მონაცემების შეგროვების საკითხს აწესრიგებს. თუმცა, იგი მხოლოდ 2020 წლიდან შედის ძალაში.

2017 წლის დასაწყისში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში საქართველოში არსებული რისკის შეფასების სისტემა ევროკომისიის ექსპერტმაც შეაფასა<sup>68</sup> და ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად, რისკის შეფასებაში ჩართული სტრუქტურების პასუხისმგებლობებისა და მუშაობის მეთოდოლოგიების ბუნდოვანებაც დაასახელა. ცენტრიდან მიღებული ინფორმაციით, ამ რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.<sup>69</sup>

ასე რომ, ვეტერინარიის სფეროში რისკის შეფასების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით უფრო მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო, რომ მდგომარეობა თანდათანობით გაუმჯობესდეს.<sup>70</sup>

## 2.8. ვეტერინარულ კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები

საქართველოში სასოფლო მეურნეობების უმრავლესობა ოჯახური, გლეხური ტიპისაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათზე სურსათის უვნებლობის კონტროლი 2020 წლამდეა გადავადებული. სეს-ს ჯერჯერობით არ გააჩნია საკანონმდებლო საფუძველი, რათა აიძულოს **გლეხური მეურნეობები** ვეტერინარულ მოთხოვნებთან შესაბამისობა დაიცვან. თუმცა, როცა ასეთი საფუძველი გაჩნდება, გლეხური მეურნეობების სიმრავლის გამო, მაინც რთული იქნება მათზე კონტროლის განხორციელება.

ჯერჯერობით კი (მეცხოველეობის სფეროში თუ მისი განვითარების მიმართულებით მომუშავე ბევრი პირის დაკვირვებით), ზემოაღნიშნული შეღავათისა და სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების შედეგად, მოხდა არალეგალური წარმოების წახალისება. გლეხური მეურნეობის საფარქვეშ მუშაობენ რეალურად საწარმოები, რომლებიც რეგულარულად აწვდიან ბაზარს არაკეთილსაიმედო ცხოველურ პროდუქტს, ხოლო რეგულირების სფეროში მოქცეულ საწარმოებს, რომლებშიც სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემებია დანერგილი, უჭირთ შავი ბაზრისათვის კონკურენციის გაწევა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ან სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი რაც შეიძლება მალე უნდა გავრცელდეს გლეხურ მეურნეობებზე, ან, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურმა და სეს-მა ერთობლივად უფრო

67 „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილება.

68 EXPERT REPORT, DEA, EXPERT MISSION ON GEORGIA, REF: AGR IND/EXP 63660.

69 სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსთან მაია მეტრეველთან და მთავარ სპეციალისტთან მამუკა კოტეტიშვილთან მიმოწერა, 26.04.2018-18.05.2018.

70 ამ საკითხზე მეტი ინფორმაციისათვის იხ. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, თბილისი, 2016, გვ. 33; ლია თოდუა, რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები, 2016 წ.

აქტიურად უნდა იმუშავონ არალეგალური საწარმოების გამოსავლენად.

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო პირუტყვის **სასაკლაოებზე**, ვეტერინარული ზედამხედველობით დაკვლის ვალდებულების დაწესება. იგულისხმება ისეთი პირუტყვი, რომლის ხორციც გასაყიდადაა განკუთვნილი. ამ ინიციატივასაც თავიდან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა გლეხებისა და ხორცი მოვაჭრეების მხრიდან. ამას თავისი ობიექტური საფუძვლებიც ჰქონდა, ვინაიდან სასაკლაოების რაოდენობა მცირე იყო და ბევრი მუნიციპალიტეტისათვის არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი. თუმცა, თანდათანობით, ბაზარზე წარმოქმნილი მოთხოვნის შესაბამისად, სასაკლაოების რაოდენობა გაიზარდა და ამჟამად თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია ერთი სასაკლაო მაინც. პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება რამდენიმე მუნიციპალიტეტში, როგორებიცაა ადიგენი, ახალქალაქი და ნინოწმინდა, ასევე სხვა მაღალმთიან მხარეებში. კომერციული სექტორისათვის არ აღმოჩნდა მიმზიდველი ამ ტერიტორიებზე სასაკლაოების აშენება. ასეთ პირობებში სახელმწიფომ უნდა მიმართოს ზომებს, იმისათვის, რომ ასეთი შავი ხვრელები არ დარჩეს.

მართალია, ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად მოიმატა სასაკლაოებზე დაკლული პირუტყვის რაოდენობამ (მაგალითად, 2014 წ. სასაკლაოებზე დაიკლა 202 934 პირუტყვი, ხოლო 2017 წ. – 5 513 674), მაგრამ ბაზარზე ჯერ კიდევ ბევრი ხორცი იყიდება იმ ცხოველებისა, რომელთა დაკვლაც სასაკლაოზე არ მოხდა. სამწუხაროდ, ეს ცხენებსა და ვირებსაც ეხება, რომელთა ხორციც საქონლის ხორცად სალდება. სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუ რა რაოდენობით იყიდება ასეთი ხორცი, მაგრამ სეს-ის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ მედიასაშუალებების მიერ გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასაკლაოს გვერდის ავლით ცხოველის დაკვლას სისტემატური ხასიათი აქვს და ასეთი ხორცის რეალიზაცია ხდება როგორც უკონტროლო გარე ვაჭრობის გზით, ისე, რეგისტრირებულ სავაჭრო ობიექტებსა და კვების ობიექტებში.

მეცხოველეობის სფეროში მომუშავე პირთა ნაწილი თვლის, რომ უკეთესი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან ცხოველის სასაკლაოზე დაკვლის ფინანსური წახალისება ხდებოდა. ვთქვათ სახელმწიფომ ნაწილობრივ საკუთარ თავზე აიღოს ტრანსპორტირების ხარჯები, ან სასაკლაოს გადასახადი. ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობს ხულოს მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება გლეხებს უფინანსებს სასაკლაოს მომსახურების 80%-ს<sup>71</sup>. თუმცა, ნებისმიერი ასეთი სახის სუბსიდირება საფუძვლიან წინასწარ შეფასებასა და ქვეყნის დონეზე ერთიან მიდგომას საჭიროებს, რათა საბიუჯეტო ხარჯები რაც შეიძლება მიზნობრივად დაიხარჯოს და ფერმერებმა/გლეხებმა ვეტერინარიის კუთხით თავისი წილი პასუხისმგებლობის აღება ისწავლონ.

საქართველოში არსებული კიდევ ერთი პრობლემაა **ვეტპრეპარატებისა და მათ შორის ანტიბიოტიკების კონტროლი**. სასურსათო დანიშნულების პირუტყვისათვის ვეტპრეპარატების მიცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხდება. ცხოველების ანტიბიოტიკები რეცეპტის გარეშე იყიდება. ვეტპრეპარატების შექმნა და ნებისმიერი რაოდენობით გამოყენება ყველა მსურველს შეუძლია. არსებობს მოთხოვნები მზა პროდუქტში ვეტპრეპარატების, მათ შორის ანტიბიოტიკების ნარჩენების შემადგენლობასთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ მზა პროდუქტის კვლევებით პრაქტიკულად შეუძლებელია ვეტპრეპარატებით დაბინძურებული პროდუქტისაგან ბაზრის გაწმენდა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად 2017 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული.

71 გვანცა გორამე, თემატური ჯგუფის ოფიცერი, მერსი კორპსი, კავკასიის ალიანსების პროგრამის მრჩეველთა კომიტეტის მე-10 შეხვედრა, თბილისი, 19.04.2018.

ვეტერინარია დაუბრუნდა რეგულირებადი პროფესიების რიგს<sup>72</sup> და ანტიბიოტიკები მხოლოდ ვეტერინარების მიერ გაცემული რეცეპტებით უნდა გაიყიდოს. თუმცა, ამ მოთხოვნის დასაწერად ჯერ კიდევ დამატებითი ნორმატიული აქტებია მისაღები და სავარაუდოდ, ამის შემდეგაც მარტივი არ იქნება ამ პრაქტიკის სიცოცხლეში გატარება.

სეს-მა მხოლოდ 2013 წელს დაიწყო ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა<sup>73</sup>. თავდაპირველად თავლის ნიმუშების კვლევა მოხდა, ხოლო 2017 წლიდან ეს კვლევები ცოცხალ ცხოველებშიც დაიწყო. თუმცა, საქართველოში ლაბორატორიები მხოლოდ 7-მდე პრეპარატის აღმოჩენას ახერხებენ, რაც ძალიან ცოტაა.

ამ საკითხთან კავშირშია ცხოველთა საკვები, რომელიც ასევე შეიცავს ვეტპრეპარატებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოველთა საკვები ჯერ კიდევ კონტროლს მიღმა დარჩენილი.<sup>74</sup>

ზოგადად, ვეტპრეპარატების კონტროლისათვის მათი რეესტრია შექმნილი და მხოლოდ იმ პრეპარატების შემოტანა-გაყიდვაა დაშვებული, რომლებიც რეგისტრირებულია და უვნებლადაა მიჩნეული. თუმცა, ხშირია კერძო პირების მიერ არარეგისტრირებული პრეპარატების შემოტანა.

ცალკე გამოწვევაა ვეტერინარული სავაჭრო ობიექტების კონტროლი. 2014-2017 წლებში ყოველწლიურად დაახლოებით 200 ვეტერინარული სავაჭრო ობიექტის შემოწმება ხდებოდა. თუმცა, როგორც მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში მომუშავე პირები აღნიშნავენ, ბევრი აფთიაქი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ უპასუხებს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ხშირია პრეპარატების შენახვის ტემპერატურული რეჟიმების დარღვევა და ვადაგასული პრეპარატების გაყიდვა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცხოველთა გადარეკვის დროს მათი ბიოუსაფრთხოების პუნქტებზე გატარება ხდება. აქ, ცხოველთა რეგისტრაციისა და დეზინფიცირების გარდა, მათზე ვეტერინარების მიერ გარეგნული დაკვირვება და ამ გზით გამოვლენილი ავადმყოფი ცხოველების გამოხშირვა ხდება, რაც დაავადებების გავრცელების შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალებაა. პუნქტები ჯერჯერობით სეს-ის საკუთრებაშია და უფასოდ ემსახურება საქონლის მეპატრონეებს, მაგრამ მოგვიანებით ისინი კერძო სექტორს უნდა გადაეცეს და გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ მოემსახუროს ფერმერებს.

ჯერ კიდევ გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს ცხოველური ნარჩენების მართვა. ცხოველების დაკვლის შედეგად დარჩენილი ნარჩენების უსაფრთხოდ განკარგვა ბევრ შემთხვევაში არ ხდება. რეგიონებში შესაბამისი სამსახურები ან საერთოდ არ არსებობს, ან მათი მომსახურება იმდენად ძვირია, რომ პრაქტიკულად სასაკლაოების საქმიანობას აბსოლუტურად არარენტაბელურს გახდის, რომ აღარაფერი ვთქვათ გლეხურ მეურნეობებზე. ხშირად ნარჩენები პირდაპირ ღია ცის ქვეშ იყრება, რაც ინფექციების გავრცელების კარგ ნიადაგს ქმნის. ეს პრობლემა უკვე წლებია ბაზარმა თავისით ვერ მოაგვარა, ამიტომ, ამ კუთხით აუცილებელია სახელმწიფოს რაც შეიძლება სწრაფი ჩარევა.

ამ საკითხთან კავშირშია ცხოველთა (მათ შორის, დაავადებული ცხოველების) ლეშების გაუვნებელიყოფა. სამწუხაროდ, ეს საკითხიც სათანადოდ არ არის მოგვარებული. რამდენიმე წლის წინ სეს-მა ორი ძვირადღირებული ინსენერატორი შეიძინა, მაგრამ ისინი იმდენად მოცულობითია, რომ სეს-ს მათი ექსპლუატაცია ძალზე ძვირი უჯდება. ამიტომ ინსენერატორები თითქმის უმოქმედოა და ეს რესურსი უკვე წლებია, რაც არ გამოყენება ქვეყანაში, თუნდაც იგივე ცხოველების დაკვლის შედეგად დარჩენილი ნარჩენების გასანადგურებლად. სეს-ის ინფორმაციით, განიხილება თბილისში

72 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ, ქვეთავში „ვეტერინარული განათლება“.

73 სეს-ის 2013 წლის ანგარიში, გვ. 3.

74 იხ. ქვეთავი „საკანონმდებლო მიახლოების გეგმა – ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები“.



მდებარე ინსენერატორის თბილისის მერიისათვის გადაცემის საკითხი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საფრთხის შემცველი ნარჩენების გასანადგურებლად ინსენერატორის გამოყენება, მათ შორის ცხოველთა ლეშების გასანადგურებლადაც.

დღეისათვის კი ცხოველთა ლეშები, საუკეთესო შემთხვევაში მიწაში იმარხება. ჯილეხით დაღუპული ცხოველები სპეციალურად მოწყობილ სამარხებში იმარხება და მათი მარკირება ხდება. თუმცა, ჯილეხის მიკრობები ლეშებშიც დიდ ხანს ცოცხლობენ, ამიტომ, ასეთ საფლავებს მოვლა სჭირდება, რომ დაავადების გავრცელება არ მოყვეს. უარეს შემთხვევაში კი ლეშები პირდაპირ ღია ცის ქვეშ იყრება, რაც დაავადებების გავრცელების საფრთხეებს ზრდის.

## 2.9. ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტის ექსპორტი

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოველური პროდუქტის იმპორტი ევროკავშირის ბაზარზე დაშვებულია მხოლოდ იმ ქვეყნებიდან და ტერიტორიებიდან, რომლებიც ევროკავშირის მხრიდან კეთილსაიმედოდაა მიჩნეული. ამავე დროს, ნებართვები შეიძლება გაიცეს ცალკეული ტიპის პროდუქტებზე და არა ყველა ცხოველურ პროდუქტზე.

დღესდღეობით საქართველოდან ცხოველური პროდუქტის ექსპორტის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ქართული წარმოება ადგილობრივ საჭიროებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, გარკვეული შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები ახლაც იკვეთება.

საქართველოს ხელისუფლების მცდელობის შედეგად, ევროკავშირში ექსპორტის ნებართვა საქართველოში წარმოებული რამდენიმე დასახელების ცხოველურმა სურსათმა მიიღო, ესენია: თაფლი, შავ ზღვაში დაჭერილი ქაფშია და მატყლი<sup>75</sup>. ნებართვის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის გაუმჯობესება, რაც ევროკავშირის მხრიდან იქნა აღიარებული. ამ წარმატების მიუხედავად, თაფლისა და ქაფშიის ექსპორტი 2014-2017 წლებში არ დაფიქსირებულა. ტყავისა და მატყლის გატანას რაც შეეხება, ეს 2017 წლიდან დაიწყო. საქართველოს წყლებში მხოლოდ მცირე ზომის ქაფშია მოიპოვება, რაც ევროკავშირის ბაზრისათვის მიმზიდველი არ არის. თაფლის ექსპორტის წინაშე კი შემდეგი დაბრკოლებები დგას:

- ჯერ კიდევ ხშირია თაფლის დაბინძურება ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებით. ზოგჯერ თავად თაფლის მწარმოებლებისათვისაც უცნობია, თუ როგორ მოხდა მათი თაფლის დაბინძურება, ანუ ხშირია სავარაუდო ირიბი დაბინძურება<sup>76</sup>. მეფუტკრეების ნაწილს ჯერ კიდევ დასაშვებად მიაჩნია, პროფილაქტიკის მიზნით ზამთარში ფუტკრისათვის ანტიბიოტიკების მიცემა. საკმაოდ პოპულარულია ანტიბიოტიკების ბაზაზე კუსტარულად დამზადებული პრეპარატები.
- ადგილობრივ ლაბორატორიებს ბოლო დრომდე არ ჰქონდათ დანერგილი თაფლში ანტიბიოტიკის კვლევები. ნიმუშების საზღვარგარეთ გაგზავნა ხდებოდა საჭირო, რაც დამატებით სირთულეებთან და დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, 2018 წლის პირველი ნახევრისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

75 JOINT STAFF WORKING DOCUMENT, Association Implementation Report on Georgia, European Commission, Brussels, 9.11.2017 SWD (2017) 371 final, p. 8.

76 ამ საკითხის ღრმად შესწავლა მოცემული კვლევის ფარგლებს სცდება. რესპონდენტების მხრიდან გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა პრეპარატებით დაბინძურებული ფიჭების გზით მომხდარიყო.



ლაბორატორიას უკვე დანერგილი აქვს ზოგიერთი გავრცელებული ანტიბიოტიკის კვლევა.

- ქართველ მიმწოდებლებს უჭირთ თავლის ისეთი რაოდენობით, სისტემატურად მიწოდება, რომ დისტრიბუტორები დაინტერესდნენ.
- თავლის ფასი ქართულ ბაზარზე საკმაოდ მაღალია.
- საქართველოში რთულია ერთგვაროვანი შემადგენლობის თავლის წარმოება. თავლი, ძირითადად, სხვადასხვა მცენარეებისგან არის დამზადებული, რაც კიდევ ერთი მარკეტინგული დაბრკოლებაა.
- თავლი დიდი რაოდენობით გადის თურქეთში, ფიზიკური პირების მიერ, ოფიციალური კონტროლის გვერდის ავლით.<sup>77</sup>

როგორც ვხედავთ, არსებობს როგორც უვნებლობასთან, ისე უშუალოდ კომერციასა და მარკეტინგთან დაკავშირებული მიზეზები. ასე რომ, დღესდღეობით რთულია იმის პროგნოზირება, თუ რამდენად დიდია ევროკავშირის ბაზარზე ქართული თავლის გატანის პერსპექტივა. თუმცა, ვეტერინარული კეთილსაიმედოობის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე, შანსები გაიზრდება.<sup>78</sup>

ამავე დროს, სეს-ის ინფორმაციით, გაიზარდა ცოცხალი ცხოველის (ძროხა, ცხვარი) ექსპორტი სხვა ქვეყნებში, გარდა ევროკავშირისა. ასევე, მნიშვნელოვნად მოიმატა დაკლული ტანხორცის ექსპორტმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილზე შეიქმნა დამატებითი ღირებულება და ქვეყანამ მეტი შემოსავალი მიიღო.<sup>79</sup> ეს საერთაშორისო დონეზე საქართველოს ვეტერინარული კონტროლის სისტემისადმი ნდობის ამაღლებაზე მიუთითებს, რაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების არაპირდაპირი შედეგია.

## 2.10. მეწარმეების/ფერმერების/გლეხების გაუთვითცნობიერებლობა ვეტერინარიასთან დაკავშირებულ საკითხებში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმებს უშლის ხელს, არის ფერმერების/გლეხებისა და ზოგადად მეწარმეების გაუთვითცნობიერებლობა ჯანმრთელობის იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც ცხოველური პროდუქტის წარმოებას ახლავს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მეწარმეებისა და გლეხების წინააღმდეგობაზე პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, აცრებისა და სასაკლაოებში დაკვლის ვალდებულების მიმართ. ასეთივე დამოკიდებულება არსებობს, ზოგადად, სახელმწიფო კონტროლისადმი, რაც ინფორმირებულობის დაბალი დონისა და წლების მანძილზე უკვე ტრადიციად დამკვიდრებული უკონტროლობის შედეგია. მაგალითად, სოფლად მცხოვრებ მესაქონლეთა 53%-ს არ სმენია, რომ 2018 წლის იანვრიდან სასაკლაოებზე მხოლოდ საყურე ნიშნით იდენტიფიცირებული საქონელი დაიშვება<sup>80</sup>. საკუთარ ცოდნას ცხოველთა დაავადებების ან საქონლის ჯანმრთელობის შესახებ ფერმერები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ, მაგრამ ვერ ხედავენ პირდაპირ

77 PROSPECTS FOR THE EXPORT OF GEORGIAN HONEY, Alliances Caucasus Programme (ALCP), NOVEMBER 2017, p. 5.

78 თავლის ექსპორტთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისათვის იხ. PROSPECTS FOR THE EXPORT OF GEORGIAN HONEY, Alliances Caucasus Programme (ALCP), NOVEMBER 2017.

79 სეს-ის 2017 წ. ანგარიში, გვ. 8.

80 ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ეროვნული სისტემის შესახებ არსებული განწყობების შეფასება, თბილისი, 2017, გვ. 26.

კავშირს NAITS-ის ამოქმედებასა და საქონლის თუ ადამიანის ჯანმრთელობას შორის<sup>81</sup>. იმ შემთხვევაში, თუ საყურე ნიშნები ფასიანი გახდება, მათ მესამედს თანხის გადახდა არ სურს. ამას ემატება ენობრივი ბარიერი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ქართულენოვანი წყაროებიდან ინფორმაციის მიღებაში აფერხებს<sup>82</sup>.

ყოველივე ეს ხელს უშლის ზოგადად ცხოველთა დაავადებებისაგან დაცვას, მათ სწორ მკურნალობასა და დაბინძურებული ცხოველური პროდუქტის ბაზარზე მოხვედრის აღკვეთას. გლეხები ხშირად მაშინაც არ მიმართავენ კვალიფიციურ ვეტერინარს, როდესაც ცხოველს დაავადების ამკარა ნიშნები აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ პროფილაქტიკურ შემოწმებაზე. ხშირია, კვალიფიკაციის არმქონე ნაცნობებისადმი მიმართვა, რომლებსაც სოფლად რეპუტაცია აქვთ, რომ ვეტერინარიის საკითხებში ერკვევიან. ხშირია არასრული მკურნალობა. ფიქსირდება აცრების ან ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემდეგ მოცდის პერიოდების დაუცველობა და ასეთი ცხოველებისაგან წარმოებული პროდუქტების რეალიზაცია.

კერძოსექტორის ინფორმირების პრობლემის გაანალიზებისას გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მეურნეობაში საქმიანობა საქართველოში, ზოგადად, მიმზიდველი არ არის. როგორც წესი, პერსპექტიული ახალგაზრდები საკუთარ თავს სოფლის მეურნეობაში ვერ ხედავენ და საკუთარ რეგიონებსაც ტოვებენ. სოფლად დეფიციტია ინოვაციებისადმი, სწავლისადმი და განვითარებისადმი ორიენტირებული ადამიანური რესურსისა, რაც თანამედროვე სოფლის მეურნეობისა და მათ შორის ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებასაც აბრკოლებს.

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მეტი განვითარება შეუწყობს ხელს ვეტერინარიაში მდგომარეობის გაუმჯობესებას. მანამდე კი მეტი მუშაობაა საჭირო მეწარმეებთან/ფერმერებთან/გლეხებთან, ინფორმაციის გავრცელების სისტემატური და სამიზნე ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი წყაროების უზრუნველსაყოფად. სასარგებლო იქნება ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც წახალისებს ცხოველების მეპატრონეებს მეტად გაუფრთხილდნენ ცხოველის ჯანმრთელობას. პარალელურად, საჭიროა არსებული და დაგეგმილი სანქციების თაობაზე მკაფიო კომუნიკაცია და შემდეგ ამ სანქციების თანმიმდევრული გატარება/დაწესება. სახელმწიფოს ძალისხმევის გარეშე, ამ პრობლემის მოგვარება მეტად რთული იქნება.

კერძო სექტორის არაერთი წარმომადგენელიც აღნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ რეგულარული ინფორმირება ვეტერინარიის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ მაქსიმალურად აიცილონ თავიდან მათი ცხოველების დაავადება თუ მათ მიერ წარმოებული სურსათის დაბინძურება, მეორე მხრივ კი, გამოიყენონ გაფართოებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები (მაგალითად, ცხოველები და გადასამუშევრად განკუთვნილი პირველადი ცხოველური პროდუქტი იმ რაიონებიდან შეიძინონ, სადაც ვაქცინაცია ჩატარდა და სხვა). საჯარო სტრუქტურებიდან მხოლოდ ინფორმაციის გამოთხოვის მექანიზმი ეფექტიანი არ არის. ამის გაკეთება თუნდაც ელექტრონული ბიულეტენის მეშვეობით შეიძლება, რომელიც მეწარმეებს, ვთქვათ, ყოველთვიურ, მათთვის საჭირო ინფორმაციას სისტემატურად მიაწვდის.

გლეხებს შორის ინფორმაციის გავრცელების კარგი საშუალებაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ქსელი, რომელიც მთელ საქართველოს ფარავს. თუმცა, ჯერჯერობით ეს ცენტრები არც საკმარისად აქტიურობენ და არც გლეხებს შორის

81 ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ეროვნული სისტემის შესახებ არსებული განწყობების შეფასება, თბილისი, 2017, გვ. 6.

82 ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ეროვნული სისტემის შესახებ არსებული განწყობების შეფასება, თბილისი, 2017, გვ. 40.

განიხილებიან ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეტი მუშაობა მართებს, რომ ეს ქსელი უფრო ქმედუნარიანი გახდეს.

კარგინსტრუმენტი უცხოელი დონორების მიერ სხვადასხვა პროექტების ფარგლებში შექმნილი საინფორმაციო-საკონსულტაციო, მათ შორის, ონლაინ სამსახურები. თუმცა, ამ საქმიანობის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა გამოწვევას წარმოადგენს.

## 2.11. კვალიფიციური კადრების დეფიციტი

ვეტერინარული განათლება საქართველოში ტრადიციულად ნაკლებად მიმზიდველი იყო, ხოლო ბოლო 30 წლის მანძილზე კიდევ უფრო შემცირდა მისი პოპულარობა. ვეტერინარიისადმი სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილმა უყურადღებობამ ხელი შეუშალა სპეციალობით მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლება-განვითარებას. ამან ზოგადად, კადრებისა და მათ შორის კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი წარმოშვა, რაც ვეტერინარიის სფეროს რეფორმირების ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა. კადრების განსაკუთრებული დეფიციტი რეგიონებშია. არის მუნიციპალიტეტები, სადაც მოქმედი ვეტერინარი სპეციალისტი (ექიმი, ფერშალი, ტექნიკოსი) საერთოდ არ არსებობს. ეს ახალი სასაკალოების გახსნასაც აფერხებს, სადაც აუცილებლად უნდა მუშაობდეს ვეტერინარი ექიმი. ასევე, ფერხდება სახელმწიფო ვაქცინაცია და იდენტიფიკაცია, რასაც ვეტერინარი სპეციალისტები ახორციელებენ. მსხვილ მეწარმეებს საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოყავთ ვეტერინარები, მაგრამ ეს მეწარმეთა დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

სეს ვეტერინარიის მიმართულებით პროგრამების განსახორციელებლად 600-ზე მეტ ვეტერინარ სპეციალისტს ქირაობს, ხოლო დამხმარე მუშების სახით კიდევ დაახლოებით 100-120 ადამიანს. უხეში გათვლებით, ვეტერინარული კონტროლისა და პროგრამების განსახორციელებლად, სულ მცირე 1000 ვეტერინარი სპეციალისტია საჭირო. მაშინ როდესაც, ამჟამად ქვეყანაში მოქმედი ვეტერინარი სპეციალისტების (ექიმი, ფერშალი, ტექნიკოსი) საშუალო ასაკი 60 წელს აღემატება, ხოლო ვეტერინარის სპეციალობით უმაღლეს სასწავლებელს წელიწადში მხოლოდ 12-15 ადამიანი ამთავრებს.

მეცხოველეობის დარგში ვეტერინარ სპეციალისტად მუშაობა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობაა, ხოლო ანაზღაურება მაღალი არ არის. ახალგაზრდების უმრავლესობა, ვინც ამ სპეციალობას დაეუფლა, ამ სირთულეებს თავს არიდებს და ცდილობს ქალაქებში, ვეტერინარულ კლინიკებში დასაქმდეს, რომლებიც შინაურ ბინადარ ცხოველებს მკურნალობენ.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, ახალგაზრდებში ვეტერინარული სპეციალობების მეტი პოპულარიზაციაა საჭირო, რათა მათ თავისი მომავალი პროფესიის არჩევას ეს მიმართულება გაითვალისწინონ. მით უფრო, რომ ამ სპეციალობებით დასაქმების ძალიან დიდი პერსპექტივა ექნებათ, ხოლო ვეტერინარული კონტროლის გაფართოების კვალობაზე, შრომის ანაზღაურებაც გაიზრდება.

ამასთანავე, მოქმედ ვეტერინარებში იკვეთება კვალიფიკაციის ნაკლებობა. ცოდნის დეფიციტი თანამედროვე დაავადებებსა თუ მკურნალობის გზებზე და მეთოდებზე. ხშირად ვეტერინარებს უჭირთ სწორი დიაგნოზის დასმა, არ ერიდებიან ანტიბიოტიკების გამოყენებას. ხდება, არასათანადო მკურნალობა ან ზოგიერთი დაავადების ნიშნების გამოვლენისთანავე ფერმერებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ გაანადგურონ პირუტყვი და სხვა. მწვავედ დგას ცალკეული მიმართულებებით სპეციალიზაციის ნაკლებობა: თერაპია, ქირურგია, ფარმაკოლოგია და სხვა, ასევე, ცხოველთა სახეობების მიხედვით სპეციალიზაცია. ვთქვათ, ფუტკრებთან და მსხვილფეხა პირუტყვთან მომუშავე



ვეტერინარებს ძალიან განსხვავებული ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდებათ. იკვეთება ვეტერინარების დაბალი ინფორმირებულობა სფეროს მარეგულირებელი ახალი მოთხოვნების მიმართაც.

აუცილებელია მოქმედი ვეტერინარების კვალიფიკაციის ამაღლება. თუმცა, ეს ძალიან რთულია იმ პირობებში, როცა ვეტერინარების დეფიციტის გამო, ისინი გადატვირთულები არიან და სამუშაოსაგან მოწყვეტა უჭირთ. ინფორმირების ერთ-ერთი ხელმისაწვდომი საშუალება შეიძლება იყოს ვეტერინარებისათვის მცირე ბუკლეტების რეგულარული გავრცელება. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა კვალიფიკაციის პრობლემას, მთლიანობაში, ვერ მოაგვარებს.

იკვეთება ინტერესთა შეუთავსებლობაც. ბევრი ვეტერინარი ვეტერინარულ აფთიაქშიც მუშაობს. საკანონმდებლო მოთხოვნაცაა, რომ ვეტაფთიაქები ვეტერინარების ზედამხედველობით მუშაობდნენ.<sup>83</sup> თუმცა, ეს ისეთ გარემოებას ქმნის, რომ ვეტერინარი დაინტერესებულია იმ პრეპარატების გასაღებით, რომლებიც მის აფთიაქში იყიდება. სპეციალისტების დეფიციტის ფონზე, არარეალისტურია აფთიაქებში მომუშავე ვეტერინარებს სხვაგან მუშაობა აეკრძალოთ. თუმცა, მათი საქმიანობის მეტი კონტროლი აუცილებელია.

ვეტერინარებზე მოთხოვნა კიდევ უფრო იზრდება ამ მიმართულებით ახალ-ახალი რეგულაციების დანერგვის კვალდაკვალ. ასე რომ, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო მიახლოების გეგმის განხორციელების პარალელურად, სულ უფრო მწვავედ იჩენს თავს. მეტიც, თუკი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნების აღსრულებას, მთელი რეფორმა ჩაშლის რისკის ქვეშ დგას, მათ შორის, ის შედეგებიც შეიძლება დაიკარგოს, რაც დღემდე იქნა მიღწეული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ გადახედოს თავის პოლიტიკას ამ მიმართულებით, განიხილოს ყველა შესაძლო საშუალება პრობლემის მოსაგვარებლად, მათ შორის სრულიად არაორდინარული იდეები და რაც შეიძლება სწრაფად მოძებნოს თუ გამოსავლის არა, მდგომარეობის მაქსიმალური გაუმჯობესების გზები მაინც.

## 2.12. ვეტერინარული განათლება

ვეტერინარული განათლების მხრივ, 2000-იან წლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო ვეტერინარიის ამოღება რეგულირებადი პროფესიების სიიდან, რაზეც ზემოთაც აღვნიშნეთ. 2017 წელს ეს ხარვეზი გამოსწორდა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებებით (15/11/2017) ვეტერინარია კვლავ რეგულირებად პროფესიად გამოცხადდა. საქართველოში ვეტერინარის უმაღლესი განათლების დიპლომის ასაღებად კრედიტების აუცილებელი რაოდენობა 300-ით განისაზღვრა.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით საქართველოში უმაღლესი ვეტერინარული განათლება ევროკავშირში არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა. ყოველივე ეს აამაღლებს ვეტერინარის პრესტიჟს, მნიშვნელობას და იმედი, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ამ სპეციალობაზე აბიტურიენტების მოზიდვას.

თუმცა, იმისათვის, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სრულყოფილად ამოქმედდეს, უნდა შემუშავდეს ვეტერინარისადმი წაყენებული რეალისტური და

<sup>83</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-215 „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვეტერინარული სამსახურების (ვეტერინარული აფთიაქები, სავაჭრო ობიექტები, კლინიკები, კოსმეტიკური კაბინეტები და სხვა ობიექტები) ტიპობრივი წესების დამტკიცების შესახებ“.



სათანადო მოთხოვნები, ატესტაციის მინიჭებისა და ჩამორთმევის ეფექტიანი და სამართლიანი მექანიზმი შეიქმნას. ეს მოთხოვნები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ უმაღლესი განათლების გზით მიღებულ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. უმაღლესი განათლების დიპლომის მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით უნდა მოხდეს ვეტერინართა კვალიფიკაციის გადამოწმება. იმ შემთხვევაში, თუკი ვეტერინარი ვერ დააკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, მას ვეტერინარის სერტიფიკატი ჩამოერთმევა და ოფიციალურად ვეტერინარად მუშაობას ვერ შეძლებს მანამ, სანამ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

გარდა ამისა, უნდა შეიქმნას საგანგებო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ვეტერინართა საქმიანობას ზედამხედველობა, გამოვლენილი პროფესიული გადაცდომების შემთხვევების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სანქციების მიღება, გაფრთხილებით დაწყებული, ვეტერინარის სერტიფიკატის ჩამორთმევით დამთავრებული.

ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. სხვა ყველაფერთან ერთად, დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციებიცაა მისაღები. სფეროში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. თუმცა, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ამ ყველაფერს რამდენიმე წელი დასჭირდება.

საქართველოში უმაღლესი ვეტერინარული განათლების მიღებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სირთულეა ის, რომ ვეტერინარული ფაკულტეტი მხოლოდ ერთ, კერძო უმაღლეს სასწავლებელშია -- აგრარულ უნივერსიტეტში. მეორე ვეტერინარული ფაკულტეტი სხვა კერძო უნივერსიტეტში მოქმედებდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინათ, უნივერსიტეტს ავტორიზაცია გაუუქმდა.

აგრარულ უნივერსიტეტში სწავლება უფრო ძვირია, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რაც დამატებით დაბრკოლებას ქმნის აბიტურიენტების მოსაზიდად. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წელია ვეტერინარია ისეთ სპეციალობებს შორისაა, რომელზე სწავლებაც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ოღონდ საჯარო უნივერსიტეტებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ რომელიმე საჯარო უნივერსიტეტში გაიხსნება აგრარული ფაკულტეტი. თუმცა, ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან პრაქტიკული მეცადინეობებისათვის სათანადო, ძვირადღირებული ბაზის მოწყობაა საჭირო.

ალტერნატივა იქნებოდა, დაფინანსების პირობების შეცვლა, რათა აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის სტუდენტებსაც მიეცეთ საშუალება უფასოდ, ან შედარებით შეღავათიან ფასად ისწავლონ. დარგის საჭიროებებიდან და ქვეყნისათვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს სრულიად გამართლებული იქნებოდა. მეტიც, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს თავის თავზე აეღო სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა და რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის თბილისში ცხოვრების ხარჯების დაფარვა. ამ მიზნით საბიუჯეტო თანხების გამოსანახად, საჭიროების შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა სტუდენტების სწავლის დაფინანსების სისტემის გადახედვა და ნაკლებად მოთხოვნად სპეციალობებზე დაფინანსების შემცირების ხარჯზე, ვეტერინარიის სპეციალისტების მომზადების დაფინანსების გაზრდა.

მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობდა მეცხოველეობისა და ცხოველური პროდუქტების წარმოების სექტორში მომუშავე მეწარმეებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობის განვითარება სტაჟირების თუ საწარმოში მუშაობის სანაცვლოდ, მეწარმეთა მხრიდან სტუდენტების გადასახადის დაფარვის მიმართულებით. ამ კუთხით ყველა დაინტერესებული მხარის მეტი აქტიურობა მისასალმებელი იქნებოდა.

### 3. დასკვნები და რეკომენდაციები

#### 3.1. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ განუხრელად მიმდინარეობს ვეტერინარიის სფეროს რეფორმირება, მისი დაახლოება ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან, ასევე უშუალოდ ვეტერინარული კონტროლის გაფართოება. ასოცირების შეთანხმების დადებამ დადებითად იმოქმედა ვეტერინარიის სფეროს რეფორმირების გრძელვადიანი ხედვისა და კონკრეტული გეგმის ჩამოყალიბებაში.
- ამავე დროს, 2014 წელს ასოცირების შეთანხმების დადების მომენტისათვის ვეტერინარიის სფეროში შექმნილმა მდგომარეობამ, რომელიც წინა ათწლეულებში განვითარებული მოვლენების შედეგია, საქართველო მეტად მძიმე სასტარტო პოზიციაში ჩააყენა, შექმნა იმდენად სიღრმისეული პრობლემები, რომ მათ გადალახვას როგორც ხელისუფლების, ისე მეწარმეებისა და მთლიანად საზოგადოების ქმედითი, გრძელვადიანი ძალისხმევა სჭირდება.

შინაური ცხოველების მოვლა, მკურნალობა, მათთვის საკვების შერჩევა, დაკვლა კვალიფიციური ვეტერინარის ზედამხედველობით უნდა ხორციელდებოდეს და აღირიცხებოდეს. ასევე, უნდა აღირიცხებოდეს ცხოველის ადგილმეზარეობის შეცვლა, რაც დაავადებების მიკვლევადობისთვისაა საჭირო. მეტიც, უნდა არსებობდეს გარეული ცხოველების მონიტორინგის სისტემა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მათში გავრცელებული დაავადებების შინაურ ცხოველებსა და ადამიანებზე გადადებას. ყოველივე ეს საქართველოსათვის შორეული პერსპექტივაა. ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისაკენ, მისი ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებისა და თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური რეგულირების სისტემის შექმნისაკენ.

- სუსტი ვეტერინარული კონტროლი აზარალებს როგორც მომხმარებლების, ისე მეწარმეების ინტერესებსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მომხმარებლები არ არიან სათანადოდ დაცული ცხოველური დაავადებებისაგან. ამ დაავადებების გავრცელება და გავრცელების რისკები აზიანებს და საფრთხეს უქმნის მეცხოველეობასა და ცხოველური პროდუქტების გადამუშავებას, აფერხებს ცხოველური პროდუქციის ექსპორტს და რისკის ქვეშ აყენებს ტურიზმის განვითარებას. იმის გამო, რომ პირველადი ცხოველური პროდუქტი, საქართველოში, ზოგადად, არაკეთილსაიმედოა, მის გადამამუშავებლებს მნიშვნელოვანი რესურსები სჭირდებათ, მეტნაკლებად სანდო ნედლეულის შესარჩევად, ან მისგან უვნებელი პროდუქტის მისაღებად. ამასთანავე, მეწარმეები, რომლებიც მათ წინაშე წაყენებული მოთხოვნების შესრულებას ცდილობენ, არათანაბარ კონკურენციაში არიან იმ მეწარმეებთან, რომლებიც სახელმწიფო კონტროლის მიღმა ოპერირებენ.
- ვეტერინარული კონტროლისა და დაავადებების პრევენციის მიმართულებით გაწეული საქმიანობის ძირითადი ტვირთი დღესდღეობით სახელმწიფოზე მოდის. თუმცა, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სისტემის ეფექტიანი

ფუნქციონირებისათვის ეს ტვირთი თავად საქონლის მეპატრონეებმა და კერძო ვეტერინარებმა უნდა გადაინაწილონ, ხოლო სახელმწიფომ მათი კონტროლის ფუნქცია უნდა შეასრულოს. საქართველოს რეალობაში მეტად რთული იქნება ასეთ მიდგომებზე გადასვლა. ერთი მხრივ, უნდა მოხდეს კერძო სექტორის შეძლებისდაგვარად მხარდაჭერა, წახალისება, რომ ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართონ. მეორე მხრივ, კი, ხელისუფლებამ უნდა მიაჩვიოს მეწარმეები ვეტერინარიის კუთხით საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებას და შესაბამისი ხარჯების გაწევას. ამ ოქროს შუალედის მოძებნა რთულია, მაგრამ სწორედ ამაზეა დამოკიდებული ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატება.

- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელება, მათი თანმიმდევრული განხორციელება და შეძლებისდაგვარად მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვა ამ რეფორმების ეფექტიანობის გაზრდისა და დაჩქარებისათვის.

### 3.2. კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები

- **DCFTA გეგმებით** გათვალისწინებული ღონისძიებები, ძირითადად, მათ შორის, ვეტერინარიის სფეროში, იმდენად ზოგადი ხასიათისაა და იმდენად ზოგადი ინდიკატორები აქვს, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად შესრულდა ეს გეგმები. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობა ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები წლებია გეგმების დაკონკრეტების საკითხს აყენებენ, ეს გეგმები არ გაუმჯობესებულა (სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ვეტერინარიის სექტორს არ ეხება).
- **საკანონმდებლო მიახლოების გეგმის** ვადები დაცულია. თუმცა, მიღებული ნორმატიული აქტებიდან რიგი მნიშვნელოვანი რეგულაციების რეალური ამოქმედებამხოლოდ 2023-2027 წლებშია გათვალისწინებული. ამას ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიან ქვეყანაში ფინანსების, ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი განათლების დეფიციტით. მართლაც, ახალი მოთხოვნების აღსრულებისათვის შესაბამისი მომზადება სჭირდებათ როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ისე მეწარმეებსა და მთლიანად საზოგადოებას. ამავე დროს, რეფორმის წარმატებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მიღებული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა, რაც, ასევე პრობლემას წარმოადგენს. ხდება ერთხელ დათქმული ვადების გადავადება. ეს ართულებს მეწარმეებისათვის ახალი მოთხოვნების ამოქმედების რეალური ვადების პროგნოზირებას და ამცირებს მათ მოტივაციას დროულად მოემზადონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი მოთხოვნებისათვის. მეორე მხრივ, ხელისუფლება მხედველობაში იღებს მეწარმეთა მზაობას ახალი რეგულაციების ამოქმედებისათვის და ამგვარად ვიღებთ „მოჯადოებულ წრეს“.

დღემდე არსებული პრაქტიკა და გამოცდილება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საკანონმდებლო მიახლოების გეგმით გათვალისწინებული კანონმდებლობის ამოქმედება 2027 წელს გადასცდება, რომ აღარაფერი ვთქვათ



ამოქმედებული კანონმდებლობის აღსრულების ხარისხზე. ასე რომ, ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან საქართველოს დაახლოება, ანუ ვეტერინარული კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ შორეული პერსპექტივაა და კონკრეტული ვადების გათვლა რთულია.

- ზემოთქმულის გარდა, საქართველოს **კანონმდებლობას რიგი ძირითადი ხარვეზები** გააჩნია. ჯერჯერობით საერთოდ რეგულირების გარეთაა დარჩენილი ცხოველთა საკვები და ცხოველთა კეთილდღეობის საკითხები, რაც ასევე უკავშირდება ცხოველის ჯანმრთელობასა და ცხოველური პროდუქტის უვნებლობას. გარდა ამისა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, ანუ გლეხურ მეურნეობებზე. ამ ხარვეზების გამოსწორება ეტაპობრივად, 2027 წლამდეა გათვალისწინებული. იმ პირობებში, როცა საქართველოში სოფლის მეურნეობა ძირითადად გლეხური მეურნეობებისაგან შედგება და მათი დიდი ნაწილი ცხოველურ, მათ შორის გადამამუშავებულ პროდუქტს (ძირითადად ყველს) რეგულარულად აწვდის ბაზარს, ქართული მეურნეობებისა და პროდუქტის დიდი ნაწილი არაკეთილსაიმედოა.
- რამდენიმე ყველაზე გავრცელებული და საშიში **ცხოველთა დაავადების** საწინააღმდეგოდ (ჯილეხი, ცოფი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება), 2012-2014 წლებიდან სეს-მა პრევენციული ზომების გატარება დაიწყო, რამაც ამ დაავადებების შემთხვევები მნიშვნელოვნად შეამცირა. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ბოლო წლების მანძილზე ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ზოონოზური დაავადებებით ადამიანების დაავადებისა და სიკვდილის შემთხვევები. ასე რომ, ამ დაავადებებთან ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და უფრო ეფექტური გახდეს.

საზოგადოებაში საკმაოდ ფესვადგმულია ეჭვი, რომ პერიოდულად ვრცელდება ესა თუ ის ცხოველთა დაავადება, რომლებსაც ვეტერინარები, თუ ოფიციალური სტრუქტურები მალავენ სხვადასხვა პირადი ინტერესების, ან იმის გამო, რომ საქართველოს, როგორც OIE-ს წევრს ვალდებულება აქვს, ამ დაავადებების თავის ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში OIE-ში შეტყობინება გააგზავნოს. ეს კი შემდეგ ექსპორტ-იმპორტზე შეზღუდვების დაწესებას გამოიწვევს. სახელმწიფო სტრუქტურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, გამოარკვიონ სიმართლე, კანონის შესაბამისად იმოქმედონ და საზოგადოებას სისტემატურად მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია.

- პრობლემად რჩება **კოორდინაცია დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და სეს-ს შორის** დაავადებათა კერების აღმოსაჩენად. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა, მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა.
- გამოწვევაა **ლაბორატორიული შესაძლებლობები** დაავადებების დროულად დასადგენად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ახალ-ახალ კვლევებს ნერგავს, მაგრამ ჯერ კიდევ რთულია საქართველოში ყველა საჭირო კვლევის გაკეთება. ამ კონტექსტში კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიებს შორის კოორდინაცია, რაც, ფაქტობრივად არ არსებობს. ამ საკითხს წლებია აყენებენ კერძო ლაბორატორიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. თუმცა, ზოგადი განცხადებების გარდა, გარემოს დაცვისა და



სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ წარმოუდგენია რაიმე მიდგომა სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების პროცესში კერძო ლაბორატორიების შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით.

- ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხოველთა მეპატრონეებისათვის მიყენებული **ზიანის ანაზღაურების სისტემის** არარსებობა. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ცხოველთა მეპატრონეების მხრიდან სახელმწიფო მაკონტროლებელ უწყებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობა, ფერმერმა/გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თუკი დაავადებების გავრცელების აღსაკვეთად მისი პირუტყვის დაკვლა, ანდა მისი პროდუქტის განადგურება გახდა საჭირო, ის კომპენსაციას მიიღებს. მსოფლიო პრაქტიკით ეს შეიძლება დაზღვევისა და სახელმწიფო კომპენსაციის მეშვეობით გაკეთდეს. პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობდა სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის შინაურ პირუტყვზე გავრცელება. კომპენსაციის საკითხს რაც შეეხება, ჯერჯერობით ამ საკითხზე მუშაობა კონცეფციის დონეზე მიმდინარეობს.
- ვეტერინარული ზედამხედველობის საფუძველი – **ცხოველთა იდენტიფიკაცია, რეგისტრაცია და მიკვლევა**დობა საქართველოში უზრუნველყოფილი არ არის. პროცესი მრავალი წელია მიმდინარეობს, თუმცა, სავარაუდოდ, კიდევ, სულ მცირე, 10 წელი იქნება საჭირო ევროკავშირის მოთხოვნებთან სრული თავსებადობის მისაღწევად.
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში **რისკის შეფასება** მეტად არასრულყოფილია საქართველოს მასშტაბით ამისათვის საჭირო მონაცემების, მეცნიერული კვლევების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სიმწირის გამო. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით უფრო მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო, რომ მდგომარეობა თანდათანობით გაუმჯობესდეს.
- სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროში სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების პარალელურად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების **არალეგალური წარმოების ზრდა მოხდა**. გლეხური მეურნეობების საფარქვეშ მუშაობენ რეალურად საწარმოები, რომლებიც რეგულარულად აწვდიან ბაზარს არაკეთილსაიმედო ცხოველურ პროდუქტს, ხოლო რეგულირების სფეროში მოქცეულ საწარმოებს, რომლებშიც სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემებია დანერგილი, უჭირთ შავი ბაზრისათვის კონკურენციის გაწევა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ან სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი რაც შეიძლება მალე უნდა გავრცელდეს გლეხურ მეურნეობებზე, ან, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურმა და სეს-მა ერთობლივად უფრო აქტიურად უნდა იმუშავონ არალეგალური საწარმოების გამოსავლენად.
- მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯი იყო პირუტყვის **სასაკლაოებზე**, ვეტერინარული ზედამხედველობით დაკვლის ვალდებულების დაწესება. თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, სასაკლაოებისა და იქ დაკლული პირუტყვის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია ერთი სასაკლაო მაინც. პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი

რჩება რამდენიმე მუნიციპალიტეტში. კომერციული სექტორისათვის არ აღმოჩნდა მიმზიდველი ამ ტერიტორიებზე სასაკლაოების მოწყობა. ასეთ პირობებში სახელმწიფომ უნდა მიმართოს ზომებს, იმისათვის, რომ ასეთი შავი ხვრელები არ დარჩეს.

პროგრესის მიუხედავად, სასაკლაოს გვერდის ავლით დაკლული ცხოველის ხორცის რეალიზაციას სისტემატური ხასიათი აქვს. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მეტი კონტროლი და უკანონო გარე ვაჭრობის შეზღუდვა (რომელზეც, როგორც წესი, ასეთი ხორცის რეალიზაცია ხდება).

- **ვეტპრეპარატებისა და მათ შორის ანტიბიოტიკების კონტროლი** ძალიან სუსტია. სასურსათო დანიშნულების პირუტყვისათვის ვეტპრეპარატების მიცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხდება. ცხოველების ანტიბიოტიკები რეცეპტის გარეშე იყიდება. 2017 წელს ვეტერინარია დაუბრუნდა რეგულირებადი პროფესიების რიგს და მომავალში ანტიბიოტიკები მხოლოდ ვეტერინარების მიერ გაცემული რეცეპტებით უნდა გაიყიდოს. ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა ცოცხალ ცხოველებში მხოლოდ 2017 წლიდან დაიწყო. თუმცა, საქართველოში ლაბორატორიები მხოლოდ 7-მდე მოქმედი ნივთიერების აღმოჩენას ახერხებენ, რაც ძალიან ცოტაა.
- კონტროლის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი **ვეტერინარული აფთიაქი**, განსაკუთრებით რეგიონებში, ვერ პასუხობს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.
- ჯერ კიდევ გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს **ცხოველური ნარჩენების მართვა**. ცხოველების დაკვლის შედეგად დარჩენილი ნარჩენების უსაფრთხოდ განკარგვა ბევრ შემთხვევაში არ ხდება. ეს პრობლემა უკვე წლებია, რომ ბაზარმა თავისით ვერ მოაგვარა, ამიტომ, ამ კუთხით აუცილებელია სახელმწიფოს რაც შეიძლება სწრაფი ჩარევა.
- ცხოველთა (მათ შორის, დაავადებული ცხოველების) **ლეშების გაუვნებელოების** საკითხი სათანადოდ არ არის მოგვარებული. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს შესაბამისი მექანიზმი აქვს შესაქმნელი.
- ევროკავშირში **ექსპორტის** ნებართვა საქართველოში წარმოებული რამდენიმე დასახელების ცხოველურმა სურსათმა მიიღო (თაფლი, შავ ზღვაში დაჭერილი ქაფშია და მატყლი). ნებართვის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის გაუმჯობესება, რაც ევროკავშირის მხრიდან იქნა აღიარებული. ამ წარმატების მიუხედავად, თაფლისა და ქაფშიის ექსპორტი 2014-2017 წლებში არ დაფიქსირებულა. მატყლის გატანა 2017 წლიდან დაიწყო. თაფლის ექსპორტს, კომერციულ და მარკეტინგულ დაბრკოლებებთან ერთად, ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებით დაბინძურების პრობლემაც აფერხებს.

ამავე დროს, საერთაშორისო დონეზე საქართველოს ვეტერინარული კონტროლის სისტემისადმი ნდობის ამღლებაზე მიუთითებს ის, რომ გაიზარდა ცოცხალი ცხოველის (ძროხა, ცხვარი) ექსპორტი სხვა (არაევროკავშირის) ქვეყნებში. ასევე, მნიშვნელოვნად მოიმატა დაკლული ტანხორცის ექსპორტმა.

- მეწარმეები/ფერმერები/გლეხები სუსტად არიან გაცნობიერებული ვეტერინარიასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომლებიც აუცილებელია მათი საქმიანობის განხორციელებისათვის. ეს აფერხებს მათი მხრიდან მეტი პასუხისმგებლობის აღებას ცხოველთა ჯანმრთელობის დასაცავად, მეტიც, ქმნის წინააღმდეგობას სახელმწიფო რეფორმების მიმართ. სახელმწიფოსა, თუ სხვა აქტორების მხრიდან მეტი მუშაობაა საჭირო მეწარმეებთან/ფერმერებთან/გლეხებთან, ინფორმაციის გავრცელების სისტემატური და სამიზნე ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი წყაროების უზრუნველსაყოფად.
- ვეტერინარიის სფერო კადრებისა და მათ შორის კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტს განიცდის, რაც მთელ რეფორმას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. რიგ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ვეტერინარები საერთოდ არ არიან. საკანონმდებლო რეფორმების მიმდინარეობისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების კვალდაკვალ, ვეტერინარებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება.

2017 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით ვეტერინარია რეგულირებად პროფესიათა რიცხვს დაუბრუნდა და უმაღლესი ვეტერინარული განათლების დიპლომის მისაღებად საჭირო კრედიტების რაოდენობა ევროკავშირის მსგავსად, საქართველოშიც 300 კრედიტით განისაზღვრა. ყოველივე ეს აამაღლებს ვეტერინარის პრესტიჟს, მნიშვნელობას და იმედიან, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ამ სპეციალობაზე აბიტურიენტების მოზიდვას.

თუმცა, იმისათვის, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სრულყოფილად ამოქმედდეს, უნდა შემუშავდეს ვეტერინარებისადმი წაყენებული რეალისტური და სათანადო მოთხოვნები, ატესტაციის მინიჭებისა და ჩამორთმევის ეფექტიანი და სამართლიანი მექანიზმი შეიქმნას. საჭიროა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობა რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

ვეტერინარული სპეციალობა იმ სპეციალობათა რიგს განეკუთვნება, რომელზე საჯარო უნივერსიტეტებში სწავლაც მთლიანად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. თუმცა, ვეტერინარული ფაკულტეტი მხოლოდ ერთ კერძო უნივერსიტეტშია.

კადრების დეფიციტთან დაკავშირებით იმდენად მძიმე ვითარებაა, რომ აუცილებელია არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად. სიტუაცია კარდინალურადაა შესაცვლელი და ამისათვის შესაბამისი, გადამწყვეტი ზომებია მისაღები, ეს იქნება უმაღლეს სასწავლებლებში ვეტერინარიაზე სწავლების სახელმწიფო დაფინანსების სისტემის შეცვლა, მოქმედი ვეტერინარების მეტი წახალისება, მათი გადამზადების სისტემის დანერგვა, თუ სხვა.

## 4. წყაროები

### 4.1. დოკუმენტები

1. ლაშა ავალიანის (სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი) წერილები სეს-ის მიერ განხორციელებული ცხოველთა ჯანმრთელობის ღონისძიებების შესახებ, 13.04.2018, 26.04.2018.
2. განმარტებითი ბარათი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 19.06.2017, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152044?>
3. დკსჯეც-ის წერილები ზოონოზური დაავადებებით ადამიანების დაავადების შესახებ, წერილები 23.03.2018, 05.04.2018.
4. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმება, [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:22014A0830\(02\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:22014A0830(02)).
5. ევროკომისიის ოფიციალური ვებსაიტი [https://ec.europa.eu/commission/index\\_en](https://ec.europa.eu/commission/index_en).
6. ლაშა ინაურის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი) წერილი, ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების წლიური გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ, 15.03.2018.
7. ლია თოდუა, რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები, 2016 წ., <http://eap-csf.ge/images/doc/politics/Risk%20Analysis%20Paper.pdf>.
8. კოდექს ალიმენტარიუსის ოფიციალური ვებსაიტი [www.fao.org/fao-who-codexalimentarius/home/it/](http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/home/it/).
9. საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა, ეისითი, 2017 წ., [file:///C:/Users/USER91/Downloads/UNDP\\_GE\\_DG\\_citizen\\_views\\_public\\_services\\_2017\\_geo.pdf](file:///C:/Users/USER91/Downloads/UNDP_GE_DG_citizen_views_public_services_2017_geo.pdf).
10. საკანონმდებლო მიახლოების გეგმა ვეტერინარიის სფეროში, <http://nfa.gov.ge/uploads/other/5/5026.pdf>.
11. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებსაიტი <http://acda.gov.ge/index.php/geo>.
12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 21.08.2017-ის წერილი (MES 7 17 00963598) სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
13. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“.
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება №59 „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“.
15. საქართველოს მთავრობის დადგენილება №228 „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“.
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №323 „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“.
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება №336 „ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“.



18. საქართველოს მთავრობის დადგენილება №548 „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

19. საქართველოს მთავრობის დადგენილება №584 „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“.

20. საქართველოს მთავრობის დადგენილება №594 „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“.

21. საქართველოს მთავრობის დადგენილება №600 „ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

22. საქართველოს მთავრობის დადგენილება №764 „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

23. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ., 2015 წ., <http://moa.gov.ge/Ge/Public/Strategy/8>.

24. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-215 „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვეტერინარული სამსახურების (ვეტერინარული აფთიაქები, სავაჭრო ობიექტები, კლინიკები, კოსმეტიკური კაბინეტები და სხვა ობიექტები) ტიპობრივი წესების დამტკიცების შესახებ“.

25. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ოფიციალური ვებსაიტი <http://srca.gov.ge/>.

26. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსთან მათა მეტრეველთან და მთავარ სპეციალისტთან მამუკა კოტეტიშვილთან მიმოწერა, 26.04.2018-18.05.2018.

27. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

28. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

29. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

30. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

31. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

32. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

33. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის ანგარიში, <http://nfa.gov.ge/ge/in-speqtirebis-shedegebi/wliuri-angarishebi>.

34. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, თბილისი, 2016, <http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/evropis-samezoblo-politika/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/>.

35. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი,

თბილისი, 2015, <http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/evropis-samezoblo-politika/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/>.

36. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, თბილისი, 2014, <http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/evropis-samezoblo-politika/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/>.

37. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, თბილისი, 2014, <http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/evropis-samezoblo-politika/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/>.

38. სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, <http://nfa.gov.ge/ge/chven-shesaxebl/strategia>.

39. ცხოველთა დაავადებების სტატისტიკა, სეს-ის წერილები 04.04.2018, 23.04.2018.

40. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ეროვნული სისტემის შესახებ არსებული განწყობების შეფასება, თბილისი, 2017, <http://crrc.ge/project/cxovelta-identifikacia-registraciis-erovnuli-sistemis-shesaxebl-arsebuli-ganwyobebis-shefaseba/95/5a291e106ebd1>.

41. ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის სტრატეგიის პროექტი, მომზადებულია პროექტის - „ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის მონაცემთა ბაზის შემუშავება და დანერგვა საქართველოში - ტენდერი N ° 8982 / FECEO“ - ფარგლებში (NAITS), <http://nfa.gov.ge/ge/veterinaria-40/saxelmwifo-programebi>.

42. ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური ვებსაიტი <http://www.oie.int/>.

43. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური ვებსაიტი <http://www.who.int/>.

44. Agricultural Labor Market in Imereti, Goal-oriented Research, GeoWel, 2016, [http://pin.ge/plugins\\_images/opportunities/agricultural\\_labor\\_market\\_in\\_imereti.pdf](http://pin.ge/plugins_images/opportunities/agricultural_labor_market_in_imereti.pdf).

45. Aquatic Animal Health Code, <http://www.oie.int/en/standard-setting/aquatic-code/access-online/>.

46. DCFTA წლიური გეგმები და შესრულების ანგარიშები, <http://www.dcfta.gov.ge/ge/implementation>.

47. Directive (EU) 98/58 concerning the protection of animals kept for farming purposes, [http://eur-lex.europa.eu/search.html?DTN=0058&DTA=1998&qid=1526632489990&DB\\_TYPE\\_OF\\_ACT=directive&CASE\\_LAW\\_SUMMARY=false&DTS\\_DOM=ALL&excConsLeg=true&typeOfActStatus=DIRECTIVE&type=advanced&SUBDOM\\_INIT=ALL\\_ALL&DTS\\_SUBDOM=ALL\\_ALL](http://eur-lex.europa.eu/search.html?DTN=0058&DTA=1998&qid=1526632489990&DB_TYPE_OF_ACT=directive&CASE_LAW_SUMMARY=false&DTS_DOM=ALL&excConsLeg=true&typeOfActStatus=DIRECTIVE&type=advanced&SUBDOM_INIT=ALL_ALL&DTS_SUBDOM=ALL_ALL).

48. EXPERT REPORT, DEA, EXPERT MISSION ON GEORGIA, REF: AGR IND/EXP 63660, <https://webgate.ec.europa.eu/TMSWebRestrict/expertMissionReport?eventID=63660&view=list&key=384c2aaf9486c97393280d7b3900437d>.

49. Food Safety Regulation in Georgia: Assessment of the Government's Reform Efforts in 2016, Europe Foundation, Tbilisi, 2017, <http://www.epfound.ge/programs/current-programs-activities/european-integration/5832-2/>.

50. JOINT STAFF WORKING DOCUMENT, Association Implementation Report on Geor-

gia, European Commission, Brussels, 9.11.2017 SWD(2017) 371 final, [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association\\_implementation\\_report\\_on\\_georgia.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_implementation_report_on_georgia.pdf).

51. PROSPECTS FOR THE EXPORT OF GEORGIAN HONEY, NOVEMBER 2017, Alliances Caucasus Programme (ALCP), <http://alcp.ge/pdfs/656159e1c03edb267aa4f3a600e328ff.pdf>.

52. Regulation (EU) 2016/429 on transmissible animal diseases and amending and repealing certain acts in the area of animal health ('Animal Health Law'), <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2016:084:FULL&from=EN>.

53. Research on DCFTA impact on small-holder farmers in Georgia, OXFAM GB, Tbilisi, 2017, [https://www.researchgate.net/publication/322662813\\_Research\\_on\\_DCFTA\\_impact\\_on\\_small-holder\\_farmers\\_in\\_Georgia\\_in\\_English](https://www.researchgate.net/publication/322662813_Research_on_DCFTA_impact_on_small-holder_farmers_in_Georgia_in_English).

54. Terrestrial Animal Health Code, <http://www.oie.int/en/standard-setting/terrestrial-code/access-online/>.

## 4.2. გამოკითხულ პირთა სია

1. ივერი ახალბედაშვილი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი.

2. ნიკოლოზ ბენიანიძე, რძის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციის დამფუძნებელი.

3. მაია ბერუაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი.

4. მარიკა ბოკუჩავა, სეს-ის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ვეტერინარიის ექსპერტი.

5. რუსუდან გიგაშვილი, ასოციაცია მომავლის ფერმერის თავმჯდომარე.

6. ქეთევან გოგოჭური, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტის მენეჯერი.

7. რამაზ თავართქილაძე, საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი.

8. ოლა თარხან-მოურავი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მართვადი, რესპირატორული და ზოონოზური დაავადებების სამმართველოს უფროსი.

9. მიხეილ თეთრუაშვილი, მეფუტკრეთა განვითარების ჯგუფ „ფუტკარას“ დირექტორი.

10. ელენე თხლაშიძე, HEKS/EPER, პროექტის MOLI კახეთში ბიზნესგარემოს განვითარების კოორდინატორი.

11. ლაშა ინაური, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი.

12. ლევან კობახიძე, იმპრესკონ პარტნერსის პარტნიორი.

13. კახაბერ კონიაშვილი, ასოციაცია საქრძის აღმასრულებელი დირექტორი.

14. გიორგი მაღლაკელიძე, სამხრეთ კავკასიაში აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრების წარმომადგენლობის ვეტერინარი ეპიდემიოლოგი.

15. საბა მესხი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტის კოორდინატორი.

16. მაია მეტრეველი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი.

17. რომან მუჩიაშვილი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი.

18. ქეთევან რუხაძე, ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების პლატფორმა ცხოველთა ჯანმრთელობისთვის საქართველოში, კოორდინატორი.

19. გიორგი სანტურიანი, ორგანიზაციის ხალხი გაჭირვებაში ARSD პროექტის უფროსი კოორდინატორი.

20. ნატა სისვაძე, მერსი ქორის კავკასიის ალიანსების პროგრამის ბიზნესის განვითარების უფროსი ოფიცერი.

21. მიხეილ სოხაძე, ვეტერინარული მედიცინის დოქტორი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის NAITS-ის პროექტის ეროვნული გუნდის ლიდერი.

22. ზურაბ უჩუმბეგაშვილი, საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე.

23. ნინო ღლონტი, საქართველოს მეფუტკრე ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე.

24. რუსუდან ჭლიქაძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მართვადი, რესპირატორული და ზოონოზური დაავადებების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

25. დემნა ხელაია, სეს-ის უფროსის მოადგილე.

26. მარიამ ჯორჯაძე, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი.





## დანართი 2. ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების გეგმის შესრულების მდგომარეობა<sup>84</sup>

2015 წელი

N	ევროკავშირის ნორმატიული აქტი	საქართველოს ნორმატიული აქტი
1.	ევროსაბჭოს #21/2004 რეგულაცია წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის(ცხვრების და თხების) იდენტიფიკაცია რეგისტრაციის სისტემის შექმნის შესახებ და ცვლილებები შეაქვს #1782/2003 რეგულაციაში, #92/102 და 64/432 დირექტივებში.	„წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის N228 დადგენილება.
2.	კომისიის #1505/2006 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროსაბჭოს #21/2004 დირექტივას, შემოწმების მინიმალურ დონეებთან დაკავშირებით, რაც უნდა ჩატარდეს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვრების და თხების) იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციასთან მიმართებაში.	„წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის N228 დადგენილება.
3.	ევროსაბჭოს #2003/85 დირექტივა, თურქულის კონტროლისთვის, აუქმებს 85/511/EEC დირექტივას და 89/531/EEC და 91/665/EEC გადაწყვეტილებებს და ცვლილებები შეაქვს 92/46/EEC.	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება “ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“.
4.	ევროსაბჭოს და პარლამენტის #1760/2000 რეგულაცია მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების და ძროხის ხორცისა და ძროხის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით. აუქმებს #820/97 რეგულაციას.	„მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება.
5.	კომისიის #1082/2003 რეგულაცია, რომელიც ადგენს დეტალურ წესებს #1760/2000 რეგულაციის განხორციელებისათვის, რაც შეეხება მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის ფარგლებში განსახორციელებელი მინიმალური კონტროლის ღონისძიებებს.	„მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება.

<sup>84</sup> ლაშა ინაურის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი) წერილი, ვეტერინარიის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების წლიური გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ, 15.03.2018.

6.	კომისიის #911/2004 რეგულაცია საყურე ნიშნების, პასპორტების და სადგომების რეგისტრაციასთან დაკავშირებით #1760/2004 რეგულაციის განხორციელებისთვის.	„მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება.
7.	კომისიის #494/98 რეგულაცია, რომელიც ადგენს დეტალურ წესებს #820/97 რეგულაციის განხორციელებისათვის, მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და რეგისტრაციის სისტემის ფარგლებში მინიმალური ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.	„მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება.
8.	ევროსაბჭოს #2002/60 დირექტივა, ადგენს ღორის აფრიკული ჭირის კონტროლის სპეციფიკურ მუხლებს და ცვლილებები შეაქვს #92/119 რეგულაციაში.	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება.
9.	საბჭოს #92/66 დირექტივა, ნიუკასლის დაავადების კონტროლზე.	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება.
10.	ევროსაბჭოს #2001/89 დირექტივა, ღორის კლასიკური ჭირის კონტროლის შესახებ.	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება.

## 2016 წელი

N	ევროკავშირის ნორმატიული აქტი	საქართველოს ნორმატიული აქტი
1.	<p>Council Directive 2008/71/EC of 15 July 2008 on the identification and registration of pigs</p> <p>2008 წლის 15 ივლისის ევროსაბჭოს 2008/71/EC დირექტივა ღორების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის შესახებ.</p>	„ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N548 დადგენილება.

2.	<p>Council Directive 2005/94/EC of 20 December 2005 on Community measures for the control of avian influenza and repealing Directive 92/40/EEC.</p> <p>2005 წლის 20 დეკემბრის ევროსაბჭოს 2005/94/EC დირექტივა ევროკავშირში ფრინველის გრიპის კონტროლის ღონისძიებების თაობაზე და აუქმებს 92/40/EEC დირექტივას.</p>	<p>„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ 2016 წლის 27 დეკემბრის N597 დადგენილება.</p>
3.	<p>Commission Regulation (EC) No 616/2009 of 13 July 2009 implementing Council Directive 2005/94/EC as regards the approval of poultry compartments and other captive birds compartments with respect to avian influenza and additional preventive biosecurity measures in such compartments.</p> <p>2009 წლის 13 ივლისის ევროკომისიის რეგულაცია No 616/2009 შინაური ფრინველების საფრინველე ნაკვეთურების და სხვა გამომწყვდეული ფრინველების საფრინველე ნაკვეთურების მიმართ ასეთ ნაკვეთურებში ფრინველის გრიპის თავიდან აცილებისა და დამატებითი ბიოუსაფრთხოების ღონისძიებების თაობაზე ევროსაბჭოს 2005/94/EC დირექტივის იმპლემენტაციის შესახებ.</p>	<p>„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ 2016 წლის 27 დეკემბრის N597 დადგენილება.</p>
4.	<p>Commission Decision 2010/367/EU of 25 June 2010 on the implementation by Member States of surveillance programmes for avian influenza in poultry and wild birds.</p> <p>2010 წლის 25 ივნისის ევროკომისიის 2010/367/EU გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შინაურ და გარეულ ფრინველებში ფრინველის გრიპზე ზედამხედველობის პროგრამის განხორციელების შესახებ.</p>	<p>„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ 2016 წლის 27 დეკემბრის N597 დადგენილება.</p>



5.	<p>Commission Decision 2002/106/EC of 1 February 2002 approving a Diagnostic Manual establishing diagnostic procedures, sampling methods and criteria for evaluation of the laboratory tests for the confirmation of classical swine fever</p> <p>2002 წლის 1 თებერვლის ევროკომისიის 2002/106/EC გადაწყვეტილება ღორის კლასიკური ჭირის დადასტურების მიზნით განხორციელებული ლაბორატორიული შემოწმების შეფასებისათვის დიაგნოსტიკური პროცედურების, ნიმუშის აღების მეთოდებისა და კრიტერიუმების დადგენის თაობაზე დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტის – ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება.</p>
6.	<p>Commission Decision 2003/422/EC of 26 May 2003 approving an African swine fever diagnostic manual.</p> <p>2003 წლის 26 მაისის ევროკომისიის 2003/422/EC გადაწყვეტილება ღორის აფრიკული ჭირის დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტის – ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება.</p>
7.	<p>Commission Decision 2006/437/EC of 4 August 2006 approving a Diagnostic Manual for avian influenza as provided for in Council Directive 2005/94/EC.</p> <p>2006 წლის 4 აგვისტოს ევროკომისიის 2006/437/EC გადაწყვეტილება ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე ევროსაბჭოს 2005/94/EC დირექტივის თანახმად.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტის - ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N637 დადგენილება.</p>
8.	<p>Regulation (EC) No 999/2001 of the European Parliament and of the Council of 22 May 2001 laying down rules for the prevention, control and eradication of certain transmissible spongiform encephalopathies.</p> <p>2001 წლის 22 მაისის ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს (EC) No 999/2001 რეგულაცია</p> <p>ადგენს ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლის და აღმოფხვრის წესებს.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის N600 დადგენილება.</p>



9.	<p>Commission Decision 2001/183/EC of 22 February 2001 laying down the sampling plans and diagnostic methods for the detection and confirmation of certain fish diseases and repealing Decision 92/532/EEC.</p> <p>2001 წლის 22 თებერვლის ევროკომისიის 2001/183/EC გადაწყვეტილება ადგენს თევზის ზოგიერთი დაავადების გამოვლენისა და დადასტურების მიზნით ნიმუშის აღების სქემებისა და დიაგნოსტიკის მეთოდებს და აუქმებს 92/532/EEC გადაწყვეტილებას.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტი – თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N636 დადგენილება.</p>
----	---	---

## 2017 წელი

N	ევროკავშირის ნორმატიული აქტი	საქართველოს ნორმატიული აქტი
1	<p>2006 წლის 24 ოქტომბრის ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივა წყლის ცხოველებისა და მათგან გამომდინარე პროდუქტების ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და წყლის ცხოველების ზოგიერთი დაავადების კონტროლისა და პრევენციის თაობაზე.</p>	<p>„აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N594 დადგენილება.</p>
2	<p>2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1069/2009 რეგულაცია ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისა და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის არ განკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და აუქმებს (EC) No 1774/2002 რეგულაციას.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ.“</p> <p>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება.</p>
3	<p>2012 წლის 25 თებერვლის ევროკომისიის (EU) No 142/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1069/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისა და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის არ განკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და სრულდება ევროსაბჭოს 97/78/EC დირექტივა, ამ დირექტივის შესაბამისად საზღვარზე ზოგიერთი ნიმუშების და საგნების ვეტერინარული შემოწმებიდან ამოღების შესახებ.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ.“</p> <p>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება.</p>

4	<p>2008 წლის 12 დეკემბრის ევროკომისიის (EC) № 1251/2008 რეგულაცია წყლის ცხოველებისა და მათგან ნაწარმოები პროდუქტების ევროკავშირის ტერიტორიაზე იმპორტისა და ბაზარზე განთავსების მიზნით სერტიფიცირების პირობებისა და მოთხოვნებისა და დაავადების გადამდები სახეობების სიის დადგენის თაობაზე ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივის იმპლემენტაციის შესახებ.</p>	<p>„აკვაკულტურისა და მისი პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და იმპორტის პირობების, სერტიფიცირების მოთხოვნებისა და ვექტორული სახეობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №597 დადგენილება.</p>
5	<p>1992 წლის 17 დეკემბრის ევროსაბჭოს 92/118/EEC დირექტივა, ადგენს 89/662/EEC დირექტივის A (I) დანართსა და, პათოგენების შემთხვევაში, 90/425/EEC დირექტივაში მოცემული ევროკავშირის სპეციალური წესებით დადგენილი მოთხოვნებისადმი დაუქვემდებარებელი პროდუქტების ევროკავშირში ვაჭრობისა და იმპორტის შემთხვევაში ცხოველისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.</p>	<p>„სპეციალურ მოთხოვნებს დაქვემდებარებული პროდუქტებით ვაჭრობისა და იმპორტისას საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №595 დადგენილება.</p>
6	<p>2003 წლის 17 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003/99/EC დირექტივა ზოონოზების და ზოონოზური აგენტების მონიტორინგის თაობაზე, ცვლილება შეაქვს ევროსაბჭოს 90/424/EEC გადაწყვეტილებაში და აუქმებს ევროსაბჭოს 92/117/EEC დირექტივას.</p>	<p>„ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილება.</p>
7	<p>1964 წლის 26 ივნისის ევროსაბჭოს 64/432/EEC დირექტივა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორების ევროკავშირში ვაჭრობაზე ზემოქმედების მქონე ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების შესახებ.</p>	<p>„ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №584 დადგენილება.</p>


დანართი 3. ზოგიერთი ზოონოზური დაავადების გავრცელების სტატისტიკა საქართველოში<sup>85</sup>




<sup>85</sup> ლაშა ავალიანის (სეს-ის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი) წერილი 13.04.2018.




ყირიმ-კონგოს შემთხვევები ადამიანებში (100,000 მოსახლზე)



ცოფის შემთხვევები ცხოველებში (აბსოლუტური ციფრები)



ცოფის შემთხვევები ადამიანებში (აბსოლუტური ციფრები)





საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი  
თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა  
ტელ.: 2399018/19

This research has been produced with the assistance of the European Union.  
Its contents are the sole responsibility of Center for Strategic Research and  
Development of Georgia (CSR DG) and do not necessarily reflect the views of the  
European Union.

ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, თუმცა ეს არ ნიშნავს,  
რომ კვლევის შინაარსი აუცილებლად ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.  
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი.“

---